№ 115

1877—1905

№ 115

სამშაბათი, 12 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათი, 12 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверiа“.

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ი. ინაშვილი

მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდე და საღამოთი 6—8 საათამდე შინაგნეულის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ.

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 31. (10—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 [illegible]ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გაროხის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ქართველი მსახიობნი

გასულ თვის დამლევს 25 წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი დრამატიული საზოგადოება მოქმედებს ქართულის დრამატიულის მწერლობისა და სასცენო ხელოვნების განსავითარებლად.

ოცდახუთი წელიწადი მცირე ხანი არ არის.

ქართულმა თეატრმა, ქართულმა სცენამ ამ ოცდახუთის წლის განმავლობაში ბევრი რამ შესძინა ქართველობას; დიდად შეუწყო ხელი მის თვითცნობიერობის გამოღვიძებას, მოქალაქობრივ გრძნობათა განვითარებას. ქართველ საზოგადოების აზრს და გონებას ბევრი ახალი ჰორიზონტი გადუშალა, დაუახლოვა იგი ევროპიელთ, მოზიარე გახადა მათის გულის თქმისა, მათის სიცილისა და ტირილისა. თანამედროვე კაცობრიობის სულის მესაიდუმლენი იბსენი, მეტერლინკი, ტოლსტოი, ჩეხოვი, ბრიე, ჰაუპტმანი და სხვა ევროპის დიდებული მწერლები ქართულმა სცენამ გააცნო და დაახლოვა ჩვენს საზოგადოებას.

ნათარგმნ ლიტერატურას, როგორც ყველამ უწყის, დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხის განვითარებისა და გონებრივის წარმატებისათვის, მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენისთანა პირობებში მომწყვდეულ ერისათვის... ამ მხრივ ჩვენი საზოგადოება დიდად დავალებულია ქართულის სცენისაგან.

არა გვგონია გადაჭარბება იყოს აღვიაროთ, რომ ჩვენს თეატრსა და სცენას არც ერთ სხვა საქმესა თუ დაწესებულებაზე ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვის ხალხის გამოღვიძებასა და გათვითცნობიერებაში. და ამ სამსახურისათვის რა მიეზღო ქართულ სცენას და მის მუშაკთ? ქართულს თეატრს ქება-დიდება და ხოტბა-შესხმა, ხოლო სცენის მუშაკთ,—მსახიობთ... წყენა, სიმწარე და შიმშილ-წყურვილი?..

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ჩვენის სცენის მუშაკნი და მსახიობნი ყოვლად ბოგანონი და ხელმოკლენი არიან. ქართველ მსახიობს მხოლოდ ოთხი-ხუთი თვე ეძლევა სასყიდელი და ისიც ისე მცირე და უმნიშვნელო, რომ ტანთსაცმელისათვის ძლივსღა ჰყოფნის. ამავე დროს ჩვენს საზოგადოებასა, თუ მწერლობაში და თვითონ მსახიობთა წრეშიაც კი ერთი და იგივე გამუდმებული ჩივილი გაისმის: ქართულ სცენას ახლები არ უჩნდებიან, ძველები თანდათან ბერდებიან და მათს მაგიერ ჭაპანის გამწევი არავინ არისო და მიტომაც ქართულ თეატრის საქმე ხელოვნურის მხრივ წინ არ მიდის და არ ვითარდებაო.

ოღონდაც რომ ყოვლად სამართლიანი წუხილია, რადგან ჩვენი თეატრი ჯერხანად მაინც შორს არის სასურველ მდგომარეობისაგან. მაგრამ მარტო ჩივილით და მწუხარების გამოთქმით არა გაკეთდება-რა. საჭიროა ძირითად მიზეზთა გამოკვლევა და საქმის ხელშემშლელ დაბრკოლებათა გამოძებნა. ერთს უმთავრეს მიზეზად, რომელიც წინ ეღობება ქართულ სცენისა და ხელოვნების განვითარებას, ჩვენის აზრით, იყო და არის ჩვენთა მსახიობთა ყოვლად უმწეობა და ნივთიერი დაბეჩავება.

არც ერთი ინტელიგენტი ძალა, რაც გინდა ნიჭითა და ალღოთი იყოს იგი ცხებული, ჩვენს სცენაზე ფეხს ვერ შემოდგამს, რადგან ვერავითარი განათლება და სამშობლოს სიყვარული ვერ შეაძლებინებს ადამიანს—საყოველთაო და სავალდებულო 12 თვის მაგიერ იკვებებოდეს იგი მხოლოდ ოთხისა თუ ხუთის თვის განმავლობაში. ჩვენში, საბედნიეროდ, ესა თუ ის ასპარეზი საზოგადო მოღვაწეობისა ცოტათი მაინც ჰკვებავს მუშაკსა, ქართველ მსახიობის უზრუნველყოფას კი დღემდე ვერაფერი ეშველა...

ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, თუ რა კეთილი შედეგი მოჰყვება მსახიობთა წლიურად უზრუნველ ყოფას, რაიც ძირიან ფესვიანად შესცვლის აწინდელ უნუგეშო მდგომარეობას ჩვენის სცენისას. თავდაპირველად ეგ რეფორმა მოიზიდავს ინტელიგენტ ახალგაზრდობას ჩვენს თეატრში, რაიც, უეჭველია, ძალ-ღონეს, შნოსა და სიცოცხლეს შემატებს ქართულ სცენას. მეორე, თვით ეხლანდელი მსახიობნიც უფრო მეტად დაუმკვიდრდებიან სცენას და წამდაუწუმ იმის ფიქრსა და ზრუნვაში არ იქმნებიან, რომ ცოლ-შვილის ლუკმა-პურით გამოკვებისათვის როდის გასცვალონ საყვარელი სცენა დახშულ კანცელარიისა თუ სხვა რამ სამსახურზე. მესამე, ყველამ უწყის, რომ პიესის ხელოვნური წარმოდგენა უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად დამოკიდებულია რეპეტიციებზე, ხოლო ეხლანდელ პირობებში (მოხელე მსახიობთა მიზეზით) ქართული რეპეტიციები იმართება ყოვლად შეუფერებელ დროს—ნასადილევს, 4 საათზე, თუმცა წესით რეპეტიციები უთუოდ დილ-დილაობით უნდა იმართებოდეს. მეოთხე,—ვერც ერთ თეატრში ვერ ნახავთ, რომ რომელისამე ახალ პიესის მოსამზადებლად 25—40 რეპეტიცია მაინც არ მოახდინონ. ჩვენში კი, რაც უნდა ძნელი პიესა იყოს, სამ-ოთხ, ბევრი—ხუთ რეპეტიციას კმარობენ, რადგან სეზონის დროს მეტის რეპეტიციების გამართვა ორგანიულად შეუძლებელია. როცა დასი წლიურად იქმნება, მაშინ კი ზაფხულის ორი-სამი თვე დამდეგი სეზონისათვის პიესების მომზადებასა და რეპეტიციებს მოხმარდება. სხვა კარგად მოწყობილ თეატრებში მსახიობთ როლები სამის-ოთხის თვით ადრე ეძლევათ შესასწავლად. ჩვენში კი ერთისა თუ ორის კვირით ადრე ავალებენ მსახიობს როლების მომზადებას. მეხუთე, ეხლა თუ სეზონი ოთხი-ხუთი თვე გრძელდება, წლიურად დაქირავებული დასი რვა-ცხრა თვეს იმუშავებს, ქალაქსა თუ პროვინციაში, რომელსაც ენატრება ხელოვნური წარმოდგენები და ხშირად იქიდან თხოულობენ კიდეც დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან დახმარებას. წლიურად დაქირავებული მსახიობნი დახმარებას გაუწევენ აგრეთვე სახალხო წარმოდგენებს ზუბალაშვილის თეატრში. ერთის სიტყვით, წლიურად დაქირავებულ დასს საქმე იმდენი ექნება, რომ ვერც კი აუვა...

აქედან აშკარადა სჩანს, როგორ სასურველი და საჭიროც არის მსახიობთა მდგომარეობის ცოტათი მაინც უზრუნველ-ყოფა. ამაზე სიტყვის გაგრძელება მეტადაც მიგვაჩნია. საქმე ის არის, მოიპოვება თუ არა დრამატიულ საზოგადოებას იმდენი სახსარი, რომ შესძლოს განახორციელოს ეგ აუცილებელი რეფორმა ქართულ თეატრის საკეთილდღეოდ. ჩვენის აზრით, დრამატიულ საზოგადოების გამგეობას შეუძლიან თავს იდვას ამ საქმის განხორციელება თავის არსებობის მეოცდაექვსე წელს მაინც.

რა თქმა უნდა, პირველ ხანებში მაინც სრული განხორციელება ამ ცვლილებისა ვერ მოხერხდება, მაგრამ გაუჭირებლად და დაუთმობლად არავითარი კეთილი საქმე არ კეთდება: საჭიროა ორივავე მხარემ, დრამატიულმა საზოგადოებამ და მსახიობთა კრებულმა, პირველ ნაბიჯებზე ერთმანეთს ცოტა რამ დაუთმონ, ცოტათი შევიწროვდნენ საუკეთესო მერმისის მოლოდინში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა არაფერს დაიშურებს, რათა მსახიობნი ცოტათი მაინც უზრუნველჰყოს, და ამ კეთილ საქმეს წელს „საზოგადოების“ 25 წლის არსებობის დღესასწაულს დაუკავშირებს...

სცენის მოყვარე.

პროვინციების ავტონომია ავსტრიაში

ზ. ავალიშვილისა.

ევროპაში ერთი სახელმწიფოა, სადაც ეროვნული და ადგილობრივი საკითხები ისე გამწვავებულია, რომ გამოცდილი თვალიც იქ სახელმწიფო მთლიანობის საზღვრებს ვერ გაარკვევს ადვილად,—ეს არის ავსტრია.

ავსტრიას ზოგიერთი ადამიანი ისე უყურებს, როგორც იმის დამამტკიცებელ საბუთს, ვითომც ცენტრალიზაციისა და ზედამხედველობის შესუსტება სახელმწიფოსთვის საზარალოა. ხედავენ გარეგან განცალკევებას და მოუწყობლობას და ჰფიქრობენ, ავსტრია იღუპებაო და სხვ., მაგრამ ამგვარ აზრს მხოლოდ პოლიციურ წესების შეგნებული თუ შეუგნებელი თაყვანისმცემელი თუ დაადგება,—ადამიანი, რომელიც „მშვიდობიანობას“ და „მყუდროებას“ შეჩვეულია. ავიწყდებათ, რომ გარეგანი კეთილმდგომარეობა, ხალხის „კეთილდღეობა“ თვითმპყრობელობის დაუღალავ ზედამხედველობის ქვეშ, ისე არ იყო არსად გამეფებული, როგორც სწორედ ამ ავსტრიაში. ავიწყდებათ აგრეთვე ისიც, რომ „მთავრობისა“ ან „შინაგან საქმეთა სამინისტროს“ სახსნელი საშუალებანი სწორედ აქ ავსტრიაში არიან ნაცადნი და შემდეგ ისევე მიტოვებულნი, რადგანაც მათი მიტოვება აუცილებელი შეიქმნა. ავსტრიის მოუწყობლობა უფრო იმის შედეგია, რომ ეროვნული საკითხი იქ აშკარად არის დაყენებული,—ყველას გათვალისწინებული აქვს ამ საკითხის აუცილებლობა და სირთულე.

ავსტრიაში შესანიშნავად არის გადაწყვეტილი ის საკითხი, თუ რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ოლქს, რომელსაც ისტორიული თავისებურობა ეტყობა, და სახელმწიფოს; რაგვარი საზღვარი უნდა ჰქონდეს ერთიანობასა და თავისებურობას? ავსტრიის საზღვრებში მყოფ ცალკე სამფლობელოების მართვა-გამგეობა ერთს ყაიდაზეა გამოჭრილი. თუმცა ავსტრიაში მცხოვრებ ერების ბრძოლა უპირატესობის მოპოვებისათვის,

ბრძოლა, რომელსაც დიდი სოციალური, პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს,—ზოგიერთ ნაწილს სულ სხვა ელფერსაც აძლევს, მაგრამ ჩვენთვის აქ საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ ავსტრიულ საპროვინციო ავტონომიის სახე.

ავსტრიის ოლქისა ანუ პროვინციის მდგომარეობა ასეთი არის: **პირველად**, იგი არის სახელმწიფოს ადგილობრივი ნაწილი, რომელსაც ვალად აწევს საზოგადო სახელმწიფო მიზნის განხორციელება; **მეორედ**, იგია თვითმმართველი საერობო კავშირი და, მესამედ, ის არის ავტონომიური პროვინცია.

პირველის მხრით, ავსტრიის ოლქს განაგებს რამოდენიმე დაწესებულება, რომელიც დამორჩილებული აქვს სახელმწიფოს უმაღლეს მთავრობას: ყოველ ოლქში არის მეფის მოადგილე ან საერობო გამგეობა; ამათზე დაბალი ადმინისტრატიული დაწესებულებანი დამოკიდებულნი არიან.

პოლიტიკური, ე. ი. საზოგადო სახელმწიფო დაწესებულებანი განაგებენ, უმთარესად, საქმეებს, რომელიც ვენაში ავსტრიის სამინისტროების კომპეტენციას შეადგენს—შინაგან საქმეთა, სწავლა-განათლებისა, სარწმუნოებათა, სამხედრო და მიწად-მოქმედების სამინისტროების კომპეტენციას.

ეს დაწესებულებნი მეფესთან და საზოგადო პარლამენტთან ერთად შეადგენენ სახელმწიფოს მთლიანობის საფუძველს, რომელზედაც დამყარებულია ავსტრია. ავსტრიის ოლქებს მინიჭებული აქვთ თვითმართველობაც. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ოლქების დაწესებულებანი—ადგილობრივი წარმომადგენლობითი კრებები—სეიმები ანუ ლანდტაგები და კომიტეტები ანუ გამგეობანი მოვალენი არიან ადმინისტრატიული საქმეები განაგონ და მათვე მინდობილი აქვთ, როგორც საერო სახელმწიფო, ისე ადგილობრივ ინტერესების დაცვა. ზოგიერთი ეს საქმე მათთვის სავალდებულოა, ზოგი კი არა.

მაგ., ადგილობრივი სეიმები მოვალენი არიან მოუარონ ქონებას, აგრეთვე მათ გამგებლობას ეკუთვნის სხვადასხვა საოლქო თანხები და სხვ. იგინივე თვალყურს ადევნებენ სათემო თვითმართველობას და ამ საქმეში სეიმები უმაღლეს უფლებებით აღჭურვილნი არიან.

რაც შეეხება თვით-მმართველობის არა-სავალდებულო საქმეებს, რომელსაც სწორედ კულტურული თვით-მოქმედების ხასიათი აქვს, ავსტრიის ოლქებს ეკუთვნის—სრულ საზოგადო კანონების გარდა არაფრისაგან არ შეზღუდული—უფლება ყოველისავე დაწესებულების დაარსებისა, რომელსაც კი მოისურვებენ. მათ შეუძლიანთ გახსნან სკოლები, გაიყვანონ გზები, აკეთონ არხები, მდინარეების კალაპოტები შეაკეთონ, საქველმოქმედო საქმეები აწარმოვონ, ბანკები, თეატრები, მუზეუმები და სხვ. დააარსონ და შემწეობა აღმოუჩინონ. ამ ხარჯისათვის გადადებულია საოლქო ქონების შემოსავალი და, გარდა ამისა, ის ფული, რომელიც გადასახადის სახით შემოვა. სახელმწიფოს პირდაპირ გადასახადზე ათი პროცენტი ადგილობრივ თვითმართველობას ეძლევა. ის ათი პროცენტი გაწერილ სახელმწიფო გადასახადს ემატება და მასთან ერთად უნდა აიკრიბოს ყოველთვის. სხვა რომელისამე გადასახადის შემოსაღებად საჭიროა, რომ ლანდტაგის გარდაწყვეტილება დაამტკიცოს იმპერატორმა.

ცალკე ოლქების უფლებრივ მდგომარეობის დასახასიათებლად ავსტრიაში ზემოთქმულიც საკმარისი რომ ყოფილიყო, მაშინ ცხადია, რომ აქაური საოლქო თვითმართველობა ისეთივე გამოდგებოდა, როგორიც არის ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში.

მაგრამ ავსტრიის ოლქი ავტონომიურია, რადგანაც ლანდტაგს კანონმდებლობითი უფლებებიც აქვს მინიჭებული, თუმცა ეს უფლებები არც ისე ფართოა.

ძირითადი სახელმწიფო კანონი (21 დეკ. 1867 წ.) ავსტრიის საერთო წარმომადგენლობის შესახებ ამბობს, რომ „რეიხსრატის“ კომპეტენციას შეადგენს ყველა ის საქმე, რომელიც ყველა ნაწილისათვის საერთო უფლებას, ვალდებულებას და ინტერესებს შეეხება, იმ საქმეების გარდა, რომელიც, უნგრეთთან შეთანხმების ძალით, უნდა წყდებოდეს უნგრეთის წარმომადგენლებთან ერთად“. აქვე ჩამოთვლილია რეიხსრატის მოვალეობანი, ე. ი. სრულიად-ავსტრიის კანონმდებლობის საგნები. ამის შემდეგ მე 12-ე მუხლში (§ 1) ნათქვამია, რომ ყველა საკანონმდებლო საქმე, რომელიც ამ კანონის ძალით ფორმალურად არა აქვს გადაცემული რეიხსრატს, შეადგენს ადგილობრივ ლანდტაგების მოვალეობას. ეს საქმეები უნდა საკონსტიტუციო წესით ამ ლანდტაგებში გადასწყდეს“.

ავსტრიის სხვადასხვა ნაწილის ძირითადი კანონები (სტატუტები) გამოცემულნი არიან 1861 წელს. ავსტრიის საკონსტიტუციო წესწყობილება კი მხოლოდ 1867 არის გამორკვეული. სტატუტებში ადგილობრივ კანონმდებლობის საგნები იყო ჩამოთვლილი. ძირითად კანონის ზემოხსენებულ დადგენილების ძალით, ყველაფერი, რაც რეიხსრატზე არ არის გარდაცემული, ეკუთვნის ცალკე ოლქების საწარმომადგენელთა კრებების მოვალეობას.

თუმცა ეს პრინციპი მრავალ-მნიშვნელოვანია, რადგანაც პირველ შეხედვით ფართო უფლებებს აძლევს ადგილობრივ თვითმართველობას, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ, რაკი რეიხსრატის საკანონმდებლო მოვალეობანი დაწვრილებით არის აღნიშნული, ამიტომ ამ მხრით არავითარი შიში არ მოელის სახელმწიფოს ერთიანობას. ამ ავტონომიას ფორმალურად ეკუთვნის სავსებით მხოლოდ სასოფლო-მეურნეობის შესახები საქმეები, აგრეთვე ის საქმე, რომელიც არ არის მოხსენებული სრულიად-ავსტრიის კანონმდებლობის მოვალეობად ამიტომაც, მაგ., კანონები პოლიტეხნიკურ ინსტიტუტების და რეალურ სასწავლებლების შესახებ შეადგენენ ლანდტაგების მოვალეობას.

მაგრამ უფრო ხშირად, ადგილობრივ კანონმდებლობას აქვს უმთავრესად დავალებული, მოაწესრიგოს ადგილობრივ ყველა ის საქმე, რომლის შესახებ რეიხსრატს მხოლოდ ძირითადი პრინციპები აქვს დადგენილი; ხშირად ლანდტაგი მთელ ავსტრიისათვის გამოცემულ კანონებს თავის მხრით ურთავს დამატებით დადგენილებას, ადგილობრივ საჭიროების მიხედვით. მაგალ., ლანდტაგი აწესრიგებს სკოლის საქმეს, არსებულ საეკლესიო კანონმდებლობას დამატებას აძლევს, მხედრობის რჩენისა და შენახვის შესახებ რამე დადგენილებას აკეთებს.

სათემო თვითმართველობა ექვემდებარება ადგილობრივ კანონმდებლობას, რომელიც მარტო ორგანიზაციას კი არ ეხება, არამედ სანიტარულ, ცეცხლის მქრობ, საგზაო, პოლიციის საქმეებსაც და სხვ.

საზოგადოდ, ადგილობრივი კანონმდებლობა შეიძლება ეხებოდეს აგრეთვე იმ საგნებსაც, რომელნიც იმავე დროს, მაგრამ სხვა მხრივ, შეადგენენ რეიხსრატის კომპეტენციას. თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს წყლის სარგებლობის უფლება, რომლის შესახები კანონდებლობა ავსტრიაში მეტად განვითარებულია.

ყველაფერი, რაც ამ საქმეში შეეხება სამოქალაქო უფლებას, ცალკე პირების და სახელმწიფოს ინტერესების განსაზღვრას, შეადგენს რეიხსრატის მოვალეობას. ლანდტაგის მოვალეობას კი შეადგენს, საზოგადო კანონების საზღვრებში, იმის გარკვევა, თუ რა პირობებით და რა წესით შეიძლება წყლით სარგებლობა მეურნეობაში. რეიხსრატს შეუძლია, საზოგადოდ, გადასცეს ლანდტაგებს მისგან დადგენილ პრინციპების დაწვრილებითი განხილვა და განვითარება.

საოლქო სეიმებს, მთავრობასთან და საერობო გამგეობასთან ერთად, ეკუთვნის თაოსნობა ადგილობრივ კანონების გამოცემაში. ისეთ კითხვების შესახებ-კი, რომელიც მათ კომპეტენციას არ შეადგენს, მათ შეუძლიათ (მ. 19), სტატუტების თანახმად, სათანადო მთავრობის მოწოდებით, თავიანთი აზრი წარადგინონ; აგრეთვე დამოუკიდებლადაც შეუძლიანთ წარადგინონ თავიანთი აზრი და წინადადება. ეს თაოსნობა ძალიან ხშირად ნაყოფიერი გამომდგარა. სეიმები წინადადებას უდგენენ მთავრობას პეტიციების სახით.

ეს პეტიციები, რომელნიც საკანონმდებლო თაოსნობის მაგივრობას სწევენ, შეიცავენ სხვადასხვა შუამდგომლობას კანონებისა და ზომების შესახებ, რომელიც რომელისამე კუთხის საკეთილდღეოდ საჭიროა. სეიმებს ეკუთვნით აგრეთვე ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედებაზე საჩივრები, ადრესების შედგენა და დეპუტაციების წარდგენა ხელმწიფის წინაშე. თავის მხრივ სეიმს შეუძლიან მიიღოს თავის წევრების ხელით მოქალაქეებისაგან სხვადასხვა პეტიციები.

ოლქის აღმასრულებელი დაწესებულება—საერობო კომიტეტი ანუ გამგეობა—პასუხის მგებელია ამავე ოლქის სეიმის წინაშე. რაც შეეხება სახელმწიფოს მთავრობის აგენტებს,—მეფის მოადგილეს, მინისტრებს,—ისინი არ ექვემდებარებიან ადგილობრივ წარმომადგენლობას არც კონტროლისა და არც პასუხის გების მხრით. მინისტრები ადგილობრივ კანონების აუსრულებლობისთვის პასუხს აგებენ რეიხსრატის წინაშე, სადაც არიან ავსტრიის ყველა ნაწილის წარმომადგენლები.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

10 ივლისი

პარიჟი, 9 ივლისი. ამბოხება კრიტზე ძლიერდება. ტერისოს ინსურგენტების კომიტეტმა გადასწყვიტა ათინაში სამი დეპუტატი გაჰგზავნოს. ვიტტე მინისტრ-პრეზიდენტს რუვიეს ერთს საათზე მეტს

ეთათბირა. ბერლინში მეოგი საფრანგეთის ელჩი ბიგურიც წამოვიდა გარეშე საქმეთა სამინისტროში.

ბელოსტოკი, 9 ივლისი. ქალაქის საბჭომ ხალხის სიფხიზლის სამზრუნველოს სახალხო სახლის აგებაზე უარი განუცხადა. მიზეზად ის წამოუყენებია საბჭოს, რომ ეს სამზრუნველო, ვიწრო-ეროვნულის მოსაზრებით, ისეთს წიგნაკებს ბეჭდავს და ავრცელებს, რომ ეროვნებათა შორის შურსა და განხეთქილებას იწვევსო.

ვიბორგი, 8 ივლისი. პოდპოლკოვნიკი კრამარენკო გარდაიცვალა. მკვლელი პროკოპე სამხედრო გაუპტვახტში გაგზავნეს.

პარიზი, 9 ივლისი. ის ხმები ვითომც მენელიკი ევროპაში მოგზაურობას აპირობდეს, არა მართლდება.

ვიტებსკი, 8 ივლისი. დაბა კრესლავკაში გუშინ მძიმედ დასჭრეს ფეხში ბოქაული ჩილკენოკი. ეჭვით რამდენიმე შეიპყრეს.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: რადგან ამ ბოლო დროს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა ოფიციალური ცნობანი, „მთავრობის უწყებაში“ შეცდომით იბეჭდება ხოლმე, ამისთვის შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ოფიციალურს ცნობაში ნაჩვენები უნდა იყოს ისიც, თუ რომელ დაწესებულებიდანაა მიღებული ცნობა. ხოლო ის ცნობანი, რომლებიც გამომგზავნელის პიროვნებისა, თუ დაწესებულების აღუნიშნავად უნდა გამომჟღავნდეს, სხვაფრივ არ დაიბეჭდება, სანამ ყოვლის ცნობის გამო შინაგან საქმეთა მინისტრის ბეჭდითი სიტყვის მთავარ გამგეობიდან განსაკუთრებული ნებართვა არ ექნება.

ადგილობრივ საოჯახო მთავარმა გამგეობამ გამოაცხადა, რომ ომის დაწყებიდან დღემდე, ომში გასულ მეომართა ოჯახების დასახმარებლად ერობებისა, ქალაქებისა და გამნაწილებელ კომიტეტებისათვის ხაზინას 26 მილიონი მანათი გაუცია გარდა იმ თანხებისა, რომლებსაც საზოგადო დაწესებულებანი ამ საქმეზე ხარჯავენ.

ყაზანი, 9 ივლისი. საბირჟო საზოგადოების წევრთა თათბირმა ფინანსთა სამინისტროს გარდასახადთა კომიტეტის წევრის თანდასწრებით გამოარკვია, რომ ხორბლეულის გზაზე თავმოყრისა და დარჩენის მიზეზი ვაგონების გაუწესრიგებლობისა და ვოლგაზე ხიდის უქონლობის ბრალიაო. ტარიფის შეცვლას ამ უწესრიგობის მოსპობა არ შეუძლიანო. წყალზე გადაზიდვის გარდასახადებს ამ მოვლენაზე არავითარი გავლენა არა აქვსო. თათბირობამ ამ საქმის მოწესრიგებისათვის სასურველად იცნო, რომ სადგურ „ყაზან“-ზე დაარსდეს ბიურო, რომელიც ვაგონების განაწილებასა და ჯერს კონტროლს გაუწევს და თვალყურს ადევნებს. საჭიროა აგრეთვე, რომ ნოვიგაციის ტარიფი 15 ოქტომბრამდე დარჩეს, ვოლგაზე მიმოსვლა გაადვილდეს, ყაზანის სადგურსა და სხვა დიდ პუნქტებში ხორბლეულისათვის ფართო და შესაფერი შენობა აიგოს, გარდასახადების დაუდევარს განიხვრას ბოლო მოეღოს, რკინის გზის სამმართველოს დავალოს, რომ ყოველ დღიურად მოსულ ხორბლეულის რაოდენობა გაზეთების საშუალებით გამოაცხადოს და, უკეთუ მმართველობამ გაგზავნილი ტვირთი ვადაზე არ გადაიტანა ან გზაში გააფუჭა, პასუხი აგოსო.

ნეაპოლი, 8 ივლისი. მთავრობის კომისია მშრალ დოკში მომხდარ უბედურების მიზეზებს იკვლევს. ძალიან ღრმად მოუხდებათ მიწის ამოთხრა, რომ შეიტყონ, კედლის დანგრევა შენობის უვარგისობამ გამოიწვია თუ ვულკანურ მიზეზებით გამოწვეულ ნიადაგის გეოლოგიურს ცვლილებას მოჰყვაო.

კოპენჰაგენი, 9 ივლისი. მეფე ქრისტიანმა ოჯახობით დაათვალიერა გერმანიის ესკადრის საადმირალო გემი „კაიზერ ვილჰელმ II“-ე. ექვსი ჯავშნიანი და ორი კრეისერი კოპენჰაგენის ნავთსადგურში სდგას.

ბელგრადი, 9 ივლისი. კუმანოვთან სერბიელ მეამბოხეთ ოსმალთა რაზმთან შეტაკება მოუვიდათ. სერბიელებს მოუკლეს ოთხი. ოსმალებს—ათი კაცი.—დღეს ხელი მოაწერეს სერბიასა და ბულგარიას შორის სავაჭრო ხელშეკრულობაზე.

ვარშავა, 10 ივლისი. „ვარშავსკი კურიერის“ სიტყვით, შესდგა მწერალ-ქალთა და მასწავლებელ-ქალთა კავშირი.

კრემენჩუგი, 10 ივლისი. „იუჟნოე სლოვო“ გამოდის.

ბილგრადი, 10 ივლისი. დღეს ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ძველ სერბიასა და მაკედონიაში დახოცილ სერბთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ უმაღლესი მოხელენი, გენერლები, მრავალი ოფიცერი და აუარებელი ხალხი. ტაძარს შიგნით შავი მაუდი ჰქონდა გაკრული.

სიმლა, 10 ივლისი. ლორდი კერზონი ავად გახდა.

ოდესა, 9 ივლისი. „გრადონაჩალნიკის უწყებებში“ დაბეჭდილია გენერალ-გუბერნატორის განკარგულება, რომლითაც მოქალაქე ტროფიმოვი, ქარხნებში აგიტაციის გამო, ვოლოგდის გუბერნიაში იგზავნება.

რომი, 9 ივლისი. საბჭოს ებრაელმა-ხმოსნებმა განუცხადეს, ხმოსნობაზე უარს ვამბობთ, რადგან საბჭოს პროექტით ებრაელთა არჩევანებში მონაწილეობა და მოქმედება 10%-ით იზღუდებაო.

ელისავეტგრადი, 9 ივლისი. არჩეულ გლეხთა საბჭოს თხოვნა, მდგომარეობის გაუმჯობესობისა და გლეხების მიწით დაკმაყოფილების შესახებ, სამაზრო გამგეობამ მინისტრთა საბჭოში გაგზავნა.

ბერლინი, 9 ივლისი. პრინცესა ლუიზა კობურგისა ბერლინის გაზეთების რედაქტორებს პარიზიდან დეპეშით ატყობინებს, რადგანაც პრინც ფილიპესთან გაყრის შესახებ გაზეთებმა ბევრი ტყუილები დაიწერა, ჩემს თავგადასავალს მე თვითონვე ავწერო.

პარიზი, ივლისი. დილის გაზეთებს რუვიესა და ვიტტეს შორის მომხდარ ბაასის შესახებ სხვადასხვანაირი დასკვნა გამოჰყავთ. რუვიე და ვიტტე კი თავის ნალაპარაკევს არავის უმჟღავნებენ.—გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი ჟენნერი.

ბერლინი, 9 ივლისი. სოფლის მემამულეთა ოთხ-ფეხ საქონლით მოვაჭრე კავშირის ბიურო შიშობს, რადგანაც ზემო სილეზიაში ხორცი გაძვირდა, მთავრობა ნებას მისცემს რუსეთიდან აუარებელი ღორი შემოვიდესო, და გადაწყვიტა, თუნდაც იზარალოს, მაინც ხელი შეუწყოს გერმანიის სხვა ადგილებიდან ღორის შემოსვლას.

თავრიზი, 9 ივლისი. ურმიაში ებრაელთა ხოცვა-ჟლეტა მოხდა. განადგურებულია 20 დუქანი, დაჭრილია 50, მოკლულია ერთი. ქრისტიანებს ზარალი არ მოსვლიათ.

ომსკი, 9 ივლისი. დღეს გაიხსნა ბირჟა.

ბათუმი, 9 ივლისი. დღეს დაიწყეს მამოსვლა უცხო-ქვეყნის გემებმა.

ჩიტა, 9 ივლისი. დღეს, 10 საათსა და 25 წუთზე, ორი წუთის განმავლობაში მიწის ძვრა იყო.

პეტერბურგი, 9 ივლისი. ოფიციალური. ხელმწიფე იმპერატორი, დიდ მთავარ მიხეილ ალექსანდრეს ძესთან ერთად, დღეს, 10 ივლისს, საიმპერატორო გემით „პოლიარნაია ზვეზდა“ გაემგზავრა გერმანიის იმპერატორთან შესახვედრად, რომელიც ამ წელს თავის გემით „ჰოჰენცოლლერნ“-ით ბალტიის ზღვაში მოგზაურობს.

პეტერბურგი, 9 ივლისი. რადგანაც „პეტერბურგის სააგენტო“-ს ცნობები ტფილისის რკინის გზაზე მომხდარ ამბების შესახებ ბევრმა გაზეთმა სწორედ ვერ განმარტა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს ცნობა სააგენტომ პოლიციის დეპარტამენტისაგან მიიღო. იმავე დეპარტამენტისაგან წავიდა პირველი ვერსიის ცნობებისა, რომლებიც 5 ივლისს „პრავიტელ. ვესტნიკში“ იყო დაბეჭდილი და რომლებიც დეპარტამენტმა ტფილისის ადგილობრივ ჟანდარმთა უფროსისაგან მიიღო. ეს ცნობა დანამდვილებით იტყობინება, რომ დაღუპულნი ეკუთვნოდნენ რუსის პარტიას, რომელიც პოლიტიკურ მიზეზების გამო, ქარხნის დანარჩენ მუშებთან გადამტერებული იყო. ამ ცნობაში ეჭვი ერთს ადგილობრივ მკვიდრზე იყო მიტანილი, რომლის პიროვნებაც ჯერ გამორკვეული არ არის. სომხებზე ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი, რადგანაც კავკასიაში, როგორც უკვე ცნობილია, სხვადასხვა ეროვნების მკვიდრნი არიან.

სან-დიეგო, 9 ივლისი (კალიფორნია). კრეისერ „ბენინგტონზე“ ქვაბი გასკდა. მოკლულია 39 კაცი, დაჭრილი—80; 21 კაცი ვერ იპოვეს.

პარიზი, 9 ივლისი. პრეზიდენტმა ლუბემ შუადღისას სტატ-სეკრეტარი ვიტტე მიიღო და ერთს საათზე მეტს ებაასებოდა.

კონსტანტინეპოლი, 9 ივლისი. გუშინდელ აფეთქების დღეს ერთის ავსტრიელის ქალის გარდა უცხოელთაგან არავინ დაშავებულა. სულ მოკლულია 23 კაცი, სხვათა შორის, ერთი ოფიცერი და სამი სალდათი, დაჭრილია—36. ამბობენ, პრინც სულიმის აღმზრდელი ბაბა-ბეიც მოკლულიაო. სამხედრო მინისტრმა სასტიკი გამოძიება დაიწყო. ის ხმა, ვითომც აფეთქება სომეხს მოეხდინოს, არა მართლდება. ილდიზთან დაახლოვებულ წრეებში ამბობენ, დამნაშავე მუსულმანიაო. ილდიზში ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სულთანის პრესტიჟი საშინლად გაძლიერდა.

ვიბორგი, 9 ივლისი. გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი კრამარენკო, რომელიც გუშინ დასჭრეს. მკვლელი, მუშა პროკოპე, დაიჭირეს.

მარშანსკი, 9 ივლისი. დღეს სადგურ ვიაჟლისთან სამარიდან მომავალი სამხედრო მატარებელი ლიანდაგებიდან გადავარდა. მსუბუქად დაიჭრა ხუთი სალდათი.

ლონდონი, 9 ივლისი (ჰავასი). მთავრობის დამარცხებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ბალფურმა აუხსნა თავის ამხანაგებს, რა საშიშია ამისთანა დამარცხება. ცხადია, რომ ბალფურს ყოველ შემთხვევაში თავის პარტიის იმედი არ უნდა ჰქონდეს; მაგრამ, რადგანაც მდგომარეობა მეტად სამძიმოა, ჯერ კაბინეტი არ შეიცვლება. გარეშე პოლიტიკის მოსაზრებით და მომავალ მოლაპარაკების გამო, ლანსდოუნის ხელმძღვანელობა გარეშე პოლიტიკაში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. „ივნინგ სტანდარტის“ სიტყვით, კაბინეტს ოთხს წევრს პარლამენტის დათხოვნა შემოდგომაზე უნდა; მაგრამ ამ საკითხის შესახებ ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

ეკატერინბურგი, 9 ივლისი. ოსინსკის ერობა ტრუბეცკოის სიტყვასა და ხელმწიფე იმპერატორის პასუხს ათასობით ბეჭდავს და ხალხში ავრცელებს.

პეტერბურგი, 9 ივლისი. გაზეთ „დენ“-ის სიტყვით, 9 ივლისმა პეტერბურგში მშვიდობიანად ჩაიარა. ბევრს ალაგას პანაშვიდები გადაიხადეს. პანაშვიდები ოფიციალურად ნება-დართული იყო. გაზეთების სიტყვით, ჯავშნიან გემებზე—„პოტემკინსა“, „გიორგისა“ და ტრანსპორტ „პრუტზე“ მომხდარ არეულობის გამო დანიშნული გამოძიება დასრულდა. როგორც უმთავრესი საზღვაო შტაბი იუწყება, არეულობის მოთავე ყოფილა მატროსი მატუშენკო, რომელიც ამჟამად რუმინიაში იმყოფება. თუმცა პრაპორშჩიკი ალექსეევი აჯანყებულ მატროსებს უფროსობდა, მაგრამ ის იძულებული ყოფილა ასე მოქცეულიყო, რადგანაც სიკვდილით ემუქრებოდნენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

10 ივლისი

ბერლინი, 10 ივლისი. „ფოსიშე ცეიტუნგი“-ს კორესპონდენტის სიტყვით, ნეიტრალურ სადიპლომატო წრეებში ჰფიქრობენ, იაპონიამ ინგლისს აღმოსავლეთ აზიაში პირველობა ჩამოართვაო. ერთი დიპლომატი, რომელმაც დაიარა ფორმოზის პირდაპირ მდებარე ჩინეთის პროვინცია, ამბობს, მთელი პროვინცია იაპონელთა ახალშენებით არის მოფენილიო.

ნიუ-იორკი, 10 ივლისი. ამერიკის მთავრობა ჩინეთის ნოტას დიდს მნიშვნელობას აწერს. მთავრობას დიდი სურვილი აქვს, ჩინეთს რამენაირად დაეხმაროს, რადგან ამერიკის ნაწარმოებებს უკვე ბოიკოტი გამოუცხადესო.

ვაშინგტონი, 9 ივლისი. რუზველტმა გამოამჟღავნა ის ნოტა, რომლითაც ჩინეთმა დაინტერესებულ სახელმწიფოებს მიჰმართა: ვაცხადებ, რომ მხოლოდ იმ მუხლებს მივიღებ, რომლებიც ჩინეთის ინტერესებს ეხება და ზავის ჩამოგდებამდე შემუშავებულს შეთანხმებაში იქმნება მოხსენებულიო. გაზეთების სიტყვით, რუზველტს უთქვამს, რომ ჩინეთის ნოტაზე შეერთებულ შტატების პასუხს ზავის კონფერენციის დაწყებამდე არ გამოვამჟღავნებო.

ტოკიო, 9 ივლისი (ოფიციალური). პორტ-არტურში გუშინ „პოლტავა“ ამოიღეს.

სიტიაზა, 9 ივლისი. იაპონელები დაფაცურდნენ. 6 ივლისს მარცხენა ფრთეზე იაპონელების მზვერავმა რაზმებმა ჩვენი პოზიციების გარღვევა მოინდომეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. ტაულუს სამხრეთით ჩვენი რაზმი შევარდა ერთს სოფელში, რომელიც იაპონელებს ეჭირათ, და სურსათი გადაწვა. იაპონელებმა თეთრი ბაირაღი და წერილი გამოჰფინეს. კაზაკები, ჩვეულებისამებრ, მიუახლოვდნენ წერილის ასაღებად, მაგრამ იაპონელებმა თოფები დაუშინეს და ორი კაზაკი მოჰკლეს.

პარიზი, 9 ივლისი. ელისეის სასახლიდან ვიტტე ჯერ რუსის საელჩოში წავიდა, მერე გარეშე საქმეთა სამინისტროში, სადაც ნახევარი საათი დაარჩა, და იქიდან თავის სადგომში დაბრუნდა.

გიბრალტარი, 9 ივლისი. უმთავრესმა საზღვაო შტაბმა ჯავშნ. „სისოი ველიკი“-ს უფროსის 1 რანგის კაპიტანის ოზეროვის ცნობა გამოაქვეყნა. ეს ცნობა კორეის სრუტეში მომხდარ ბრძოლას შეეხება: 19 მაისს, ექვსი საათის ბრძოლის შემდეგ, ბატარეებში ცეცხლი გაჩნდა, გემი თორმეტ ალაგას გაიხვრიტა, მთელი ღამე ნაღმით იერიში არ შეწყვეტილა; სამი ნაღმიანი გემი დაგვიღუპეს. 15 ჯავშნიანი გემი ჩაიძირა. მოკლულია 28 კაცი, დაჭრილი—29. სუბუქად დაიჭრა ლეიტენანტი ოვანდერი და მეხანიკი ობნორსკი; კონდუქტორი დემიდოვი დაიხრჩო. დანარჩენი ოფიცრები და 570 მატროსი იაპონიის სამმა კრეისერმა გადაარჩინა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მანჯურიაში. „რუს. სლოვოს“ კორესპონდენტი გუნჟულინიდან დეპეშით იუწყება: მესამე არმიის უფროსმა, გენერალმა ბატიანოვმა მითხრა, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მომავალ ბრძოლაში გამარჯვება ჩვენი იქნებაო. იაპონელები ახლაც ვერ მოსულან გონს მუკდენის ბრძოლის გამო და ზარალიც ვერ შეუვსიათ, ჩვენ კი დღეს თუ ხვალ იაპონელებზე იერიშ მივიტანთ და დავამარცხებთო (რ. ს.).

„რეიტერ“-ის სააგენტოს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: მანჯურიიდან დაბრუნებულ იაპონელ აფიცრის აზრით, გენ. ლინევიჩი იაპონელე-

ფელეტონი

ვაი კალმისაგან

1 მოქმედებიანი კომედია

მომქმედნი:

ლადო ზარაძე—27 წლისა—მწერალი.
თედო—58 წლისა, ქვრივი—ამისი მამა.
ბარბარე—შუახნისა—ლადოს მამიდა.
ტატე—50 წლისა—ჩარჩი—თედოს მოვალე.
კოტე—ახალგაზდა კაცი, ლადოს მეგობარი.
თავ. დოლაპური—28 წლისა—უსაქმო „ჩიხოსანი“.
მართა—60 წლისა—ლადოს გამდელი.
ლუკა—16 წლის ბიჭი—ზარაძიანთ მსახური.

ლადოს კაბინეტში. სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს.—ლადოს კაბინეტის იატაკი დაფენილია ფარდაგით. შუა კედელთან სდგას საწერი სტოლი, მარჯვნივ დაფანჯრული შკაფი, გატენილი წიგნებით; მარცხნივ—პატარა ტახტი თავის მუთაქებით; ცოტა მოშორებით,—ავანსცენისკენ,—რგვალი სტოლი, დაფენილი ხავერდის სუფრით. სტოლზე აწყვია: რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთები, ლამპა, საფერფლე. ოთახში აქა-იქ სდგას რამდენიმე ჩალის სკამი, კედლებზე ჩამოკიდებულია ხუთიოდე სურათი გამოჩენილ მწერლებისა. სცენას აქვს ორი კარები და ორი ფანჯარა. მარცხენა კარები გადის დერეფანში, მარჯვენა—დანარჩენ ოთახებში.

დილის ათი საათია. სცენაზე არიან ბარბარე და მართა. უკანასკნელი მტვრის საწმენდით ავეჯეულობას ასუფთავებს.

გამოსვლა I.

ბარბარე და მართა.

ბარბარე (ტახტზე ზის). ფაფის ხელები ხო არა გაქვს, ადამიანო,—რიგიანად გადაუსვი ე სტოლსა! ქაღალდები აიღე და თითო-თითოდ დაწმინდე.

მართა (ხელებს გაატატანებს). არა, გეთაყვა, მე სტოლს ვერ მივეკარები! სუ ამას ჩაგვჩიჩინებს: „ჩემ ნაწერებს არავინ ახლოს ხელიო“. სადავიდარაბო საქმე რად გვეიხადო; სტოლისა თითონ იცის.

ბარბარე. ეგ ტილო აქ მოიტა! (გამოსტაცებს) ათასიც რო იბტუნოს, მე ჩემ სისუფთავეს მაინც არ დავიშლი! (ბერტყავს და ასუფთავებს ნაწერ ქაღალდებს, რვეულებს) აფსუს, ქაღალდო და მელანო, აფსუს! აბი არ არი, რო ეხლა სუ ლუკმა-ლუკმად ვუქციო!

მართა (უკმაყოფილოდ). ახლა მაგაზე გაბოროტე! გეთაყვანეთ, სუ ჯიბრში კი უდგანან და. .

ბარბარე. შენ წადი, გაალვიძე ისა—ჩაი გაცივდება-თქო.

მართა. ჩაი კი არა, ქვეყანაც რო გადაბრუნდეს, მე ეხლა იმის ტკბილ ძილს არ დავაფრთხობ! წუხელის მამლიყიულამდის წერა-კითხვაში ჩაიწყალა თვალები და ეხლაც ცოტა ხანს არ მოისვენოს?

ბარბარე (პირჯვარს იწერს). ღიდება შენდა, ღმერთო! სუყველაფერში უცნაური რად არი?! ძილის დროს ძილი არ იცის, ფხიზლობისას—ფხიზლობა. მიმსვლელ და მომსვლელს ხო აღარა კითხულობს!

მართა (სიყვარულით). ენაცვალოს გამდელი! როცა წერა-კითხვაშია გართული, აღარაფერი აგონდება.

ბარბარე (ქოქოლით). აი, კაი მოგივიდეს, კაი გაზდილი შენა გყავს! ჩემი საცოდავი ძმა მაგან დააბერა უდროოდ! ცისა და დედამიწის შუა ერთად-ერთი შვილი ეგულებოდეს ადამიანსა და ისიც უხეირო!—განა მაგაზე უბედურობა კიდევ შეიძლება რამე?!

მართა. უჰ, უჰ, უჰ! გეთაყვანეთ! ყბად კი აიღეთ საცოდავი ბავშვი და მართლაც, რა არი, რა ცოდვის კითხვაა! რომელ ერთს გაგიძლოთ: შინაურსა თუ გარეულსა? ყბა გაუწვრილდეს მაგის ავათ მახსენებელსა, ხო და აი, ასრე!

ბარბარე. „კაი ცხენი მათრახს არ დაიკრამსო“, ჩემო მართა! მოიქცეს რიგიანათა, ე ხალხის ლანძღვასა და ბღავნას თავი დაანებოს და ყველას საყვარელი იქნება!

მართა. ნეტა ვიცოდე, თუ ეგრე გულ-საკვენ რასა სწერს, რო ყველას პილპილივით გცდებათ და ცერცვივითა ხტით?! რა ვიცი, ერთხელ კი ვერა წავაკითხვინე რა და...

ბარბარე (ხელების შლით). რას ამბობ, ადამიანო, ყველას პამპულათა ხდის, გაზეთში სჭიმავს! ქვეყანა გადაგვმტერა თავი კალმითა, სალამს აღარავინ გვაძლევს! მე და ჩემი ძმა ქუჩაში ვერ გავსულვართ შიშითა: აქეთ-იქიდან ძაღლებივით გვესევიან და გვლანძღავენ! ნაცნობი, მოყვარე და მეზობელი აღარ შეგვარჩინა, ყველას ნიორ-წყალივით გადაესხა!

მართა. ი...ი...იჰ, შე გასახარელო! ე მაგისგან რა უნდა მეწყინოს: ჯერ ისევ ბავშვია, გიჟმაჟია, სისხლი უდუღს. აი, როცა დავაქორწილებთ, წერასაც მოიშლის, მასხარაობასაცა. მაგისთანეები ყოფილან, რო ცოლ-შვილის ხელში მორჯულებულან.

ბარბარე (ხელის შლით). მერე ვინ მისცემს ქალსა ცარიელ-ტარიელ კაცსა, ვინა?! რომელი სამსახურში ეგ არი, რო ოჯახი არჩინოს! მაგი ნაბლაჯნი შეინახავს სახლსა?!

მართა. ღმერთი მოწყალეა, მშიერი არ მოკვდება! იცოცხლოს, ჯან-საღათ იყვეს, ენაცვალოს გამდელი, თორე კაი მზითვიანი ქალი არ დაეკვეთება! მე შენ გითხრა, ლამაზი, კოხტა ვერ არი, თავშემოევლოს მართა!

ბარბარე (დაცინვით). ჰო, მაგ იმედითა ბრძანდებოდე! (მიდის და მარჯვენა კარებს აკაკუნებს) ბიჭო! ლადო! არ გესმის?! ექამდინ უნდა ეგდო ლოგინში?! აღარ ადგები?!

მართა. უჰ, უჰ, უჰ! გეთაყვანეთ! (კარებს იქიდან ისმის ლადოს ხმა: „აი, მოვდივარ, მოვდივარ, მამიდო“!).

ბარბარე. წამო, მართა, ჩაი შემოუტანე. ერთი ავაოხრო და ავაშავო ი სამოვარი! (მარცხენა კარებიდან გადიან. ცოტახანს უკან მარჯვენა კარებიდან შემოდის ლადო).

გამოსვლა II.

ლადო მარტო.

ლადო (რგვალ სტოლთან მივა, ქართულ გაზეთს აიღებს და სინჯავს) ოჰო! დაუბეჭდიათ კიდეც (კითხულობს, თან იცინის) ხა, ხა, ხა, საოცარია, რო მევე მაცინებს ჩემი ნაწერი (კითხულობს და იცინის) ხა, ხა, ხა! ახლა კი უფრთხილდი ლადო ზარაძე! ლანძღვა-გინება დღეის იქით ნახე, თორემ აქამდის რა გიჭირდა! (კითხულობს) ხა, ხა, ხა! „რჩილი“... სახელიც რომ ზედ გამოჭრილია!

გამოსვლა III.

მართა და ლადო.

მართა (შემოაქვს სტაქნით ჩაი). აბა, გენაცვალოს, მართა, ტყუილათ კი არ გემდურება მამიდაშენი! ახლა უნდა დგებოდეს ვაჟკაცი? გაიხედე მაინცა, მზე სადამდინ ჩაიწვერა!

ლადო (ეხვევა და ჰკოცნის, თან აჯღრევს). ნუ ჯავრობ, ნუ ჯავრობ, ჩემო ძიძა! მე და შენ ხომ მეგობრები ვართ!

მართა (ხელების ქნევით) უი, უი, უიჰ! გამიშვი, გენაცვალე! სადა მაქ შენი თავი! მე რაღა სადღობელივით გაქან-გამოქანება მინდა, თავად მტრედივით მიცემს გული!

ლადო (ხუმრობით). ეგ იმის ნიშანია, რომ ახალგაზდობისას არშიყი ყოფილხარ!

მართა. ისეც გაუწყდება კაცებს სახელი, შენ გარდა, ყველასა! (ლადო იცინის) ჩემი პატრონიც თვალის დასანახავად მეჯავრებოდა, არა თუ სხვა შემეყვარებინა! არა, გეთაყვა, ჩვენს საგვარეულოს ეგრეთი სისხლი არა ჰქონდა, სუყველანი ნამუსის მონები ვიყავით. აბა რა ეგ-ღა უნდოდა ჩემს ცოფიან ქმარსა!

ლადო (თან ჩაისა სვამს). სწორე სთქვი, ძიძა: ხშირადა გცემდა ხოლმე ქმარი?

მართა. საცემარ საქმეს როდი ვიხდიდი, თორე, გაგიხარიან, ყველაზე ხელი ექავებოდა! ისეთი უცხვირპირო იყო ცხონებული, რო დილასაღამომდინ წარბს არ გაშლიდა! (ამოოხვრით) ე... ეხ! არც გასამტყუნარი იყო ი საცოდავი! ისეთი ღვთის-ცეცხლი ბატონი ჰყავდა, რო სხვა უიმისო, წყალში გადაევარდებოდა! (პაუზა) რა, ახლა ეგეც გინდა ასწერო?!

ლადო (სიცილით). მაშა, მაშა! ჩქარა წადი, თორემ აგწერ!

მართა (მუხლში ჩაიკრავს). უხ! თავს მოვიკლამ, პურს აღარა ვჭამ! რა მენაღვლება?! ოღონც კი სხვებს მოეშვი და, მე, თუ გინდა, ე ჩემი დაგლეჯილი კაბით, თავით ფეხამდინ ამწერე! გაუთხოვარი კი არ დავრჩე, საქმროშ კი არ დამიწუნოს!

ლადო (სიცილით) კარგი, კარგი, ქადაგათ ნუ დაეცი! წაიღე ე სტაქანი და წადი. გაზეთი უნდა ვიკითხო, არა მცალიან (შინჯავს გაზეთს).

მართა. მერე მე კი მაწყენს გავიგო, რას იწერებიან მაგ გაზეთებში? მადლი არ არი, რო გამოყრუებული დედაკაცი გამართო! ან ამ მთისა თქვი რამე, გენაცვალოს მართა, ან იმ მთისა, და მეც ამიხილე თვალი! რაო, როდემდინ უნდა ჟლიტონ ერთმანეთი—შერიგებას აღარ აპირებენო. გეთაყვანე ბუზებივით კი სწყვეტენ ხალხსა, დანდობა კი აღარ არი, ადამიანისა და! წარღვნა მოვა, მა რა ჯანდაბა იქნება!..„ბუნტებს“ რაღასა შერებიან? ი დალოცვილმაც აიღოს და მისცეს, რასაცა სთხოვენ!—სამყოფი დიდება არ შერჩება!? (პაუზა) ნეტა ვიცოდე, თუ ე გაზეთები საიდან შოულობენ მაგდენ ახალ ამბებსა, რო ყოველ-დღე ზეწრის ოდენა ქაღალდს აჭრელებენ?! მაგათმა თავის სიცოცხლემა, არც ერთ ტყუილს ჩაურევენ, ფულებს კი კენჭებივითა ხვეტენ! თუ ჭორებში ფასი არ მივე, მე შენ გითხრა, მუქთათ კი ცოტაა. (ლადო იცინის) აბა რა! (ამ დროს დერეფნიდან ისმის ბარბარეს მრისხანება: „მართა! მართა! სად ხარ, დედაკაცო?! მართა!“)

მართა. ჰა ჰა! მართა ვარ, რა გინდა?! გეთაყვანეთ, ფეხს კი არ ჩააკეცინებს ადამიანსა და... (აიღებს სტაქანს და ბუტბუტით გადის).

ლადო (ამოისუთნებს). უხ! ღმერთიც უშველის მამიდასა, რომ გამაშორა, თორემ დღეს ვერაფერს დავწერდი... (ორთავ კარებს შემოიკეტავს, პაპიროზს მოუკიდებს და დაფიქრებული გაივლ-გამოივლის, მერე სტოლთან დაჯდება და გაქანებული სწერს, თან საშინლად ღელავს... ხანდახან იღიმება, იცინის... ცოტა ხანს უკან დერეფნიდან ისმის ბარბარეს მრისხანე ხმა: „ბიჭო! ლუკა! ე რა ხურდა მოგიტანია, შე არ დასარჩენო?! ვერა ხედავ, გალესილი აბაზია! არა დაგანახოს რა ღმერთმა, თვალები სადა გქონდა?!“)

ლადო. (აღშფოთებული კალამს დააგდებს და წამოხტება). ოხ, ოხ, ოხ! ერთი აბაზისთვის რა ამბავი აქვს! Мѣщанка! (მივა მარცხენა კარებთან და გასძახებს) რა არის, მამიდო, რასა ყვირი?! ხომ იცი, რომ ვწერ—ნუ მიშლი!

ბარბარე (დერეფნიდან). რა ვქნა, რო სწერ! იმიტომ ხო პირზე კლიტეს ვერ დაგვადებ?! ქა, ლაპარაკსაც გვიშლი... ი?! ეს კაი ამბავია, თქვენმა მზემ!

ლადო. (გამოტრიალდება), აბა რა ვუთხრა?! (მივა სტოლთან, კალამს აიღებს და ისევ დააგდებს). რაღა დავწერო, აზრები დამეფანტა, ხალისი დამეკარგა! Чортъ знаетъ что такое! (პაპიროზის წევით აღელვებული დადის სცენაზე მერე, როცა დამშვიდდება, ისევ დაჯდება სტოლთან და გაქანებული სწერს. ამ დროს დერეფნიდან მარცხენა კარებს თედო აწვება)

თედო (დერეფნიდან). გააღე ე კარები! რას ჩაგიკეტია, ამ შუადღისას ვინ გიეარდება?!

ლადო (გაცოფებული კალამს სტოლზე დაახეთქებს და თავზე ხელს წაივლებს). ოხ! ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. მე ესენი ჭკუიდან შემშლიან!!!

თედო (დერეფნიდან დაცინვით). გაქვს კი თავში?!

ლადო (მოუთმენლად). რა გინდა, მამა, რა გინდა?!

თედო (დერეფნიდან). შენი ნაცვამი ხალათი! გააღე, საქმე მაქვს.

ლადო. რა საქმე? არა მცალიან, ვწერ.

თედო (დერეფნიდან—დაცინვით). „სწერ“, მე შენ გითხრა, აპელაციის აზრებს ამზადებ! გააღემეთქი, რო გეუბნები!

გამოსვლა IV.

თედო (საწერ სტოლს დრეჯით გადახედავს). მაინც არ ისვენებ? მაინც არ იშლი ე მესტვირეობასა?!

ლადო (ჩაიცინებს). ჰმ! „მესტვირეობა“!(ამოოხვრით) ე... ეხ! შენ რა უნდა გელაპარაკო! (კუთხეში მიჯდება გაზეთიანათ).

თედო. (კუშეტკაზე ჩამოჯდება) იმდენი დღეგრძელობა მე, რო ნაგავის ზიდვაცა სჯობიან მაგ ხელობასა! (ლადო იცინის). რას იცინი, რა, ტყუილს ხო არ ვამბობ? მენაგვე ერთ-ორ გროშს მაინცა შოულობს, შენსეეფ მაინც არავის აწყეინებს და თავს არ ალანძღვინებს! (პაუზა) ახლა რაღა დაგიწერია, რო მთელი ქალაქი ყაყანებს?! „რჩილი“ ვისთვის დაგირქმევია?!

ლადო (მოუთმენლად). ვისაც დავარქვი, დავარქვი! რა შენი საქმეა? მე ანგარიშს არავის ვაძლევ.

თედო. ბიჭოს! როგორ თუ „ჩემი საქმე არ არი“?! შენი შხამიანი კალმისთვის კინაღამ, „ბურვალზე“ გამიბურთავეს და...

ლადო (აღშფოთებული). რიგორ?! შენთან რა ხელი აქვთ?!

თედო. შენ ისეთი რამ გამიჩნდი, შვილო, რო მეშინიან, მალე სახლშიაც არ შემომიხტნენ! „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“! ხვალ რო გადავბრუნდე და მოვკვდე, ერთი არავინ წამოდგება და ცხონებას არ შემომითვლის! შენი ლახტი მეცა მხვდება! ყველას ჯანი გავარიდე და, ე ღვდლებთან რაღა გვ[ა]ქმებოდა, შე საცოდავო, შენა?! (ლადო იცინის) მაგათი წყევლა შენ ხუმრობა გგონია, კუთილს დაგაყრის?! შენ რომ ღმერთი არა გწამდეს, შე „საცვიალისტო“, შენა, მე რაღას მერჩი, მეც უნდა წამწყმინდლო, ჯოჯოხეთის წერა გმხადო?!

ლადო (სიცილით). სამოთხეში ჯერ უნდა თითონ შეიდნენ, რომ შენც შეგიყვანონ.

თედო. რას იღრიჯები, რას მიჰქარამ, რას მიედებ-მოედები?! შენ, მგონი, წერას აუტანიხარ! ახლა მიბრძანდი და ნახე, „ჩინოვნიკებსა“ და პრისტავებს რა ამბავი აქვთ, როგორ იმუქრებიან?—„აწერა როგორც უნდა, ჩვენ ვასწავლითო!“. რა გინდა, შვილო, რა გინდა, რო მიყო?! რატო შენ ქერქში არა დგები?! სახლიდან ხო ვერ ამყრი?! (ლადო იცინის) კეკელუცეფ, სუ რა კბილებსა ჰყრი? სახუმარია პოლიციის აკვიატება, მეტადრე ეხლანდელ დროში?!

ლადო. ხა, ხა, ხა! მოდი და ნუ გაიცინებ! მე საერთოდ ვწერ, ცალკე პირი არავინ გამომი-

ბზე იერიშის მიტანას აპირობს. ლინევიჩი თავის შტაბით მოწინავე პოზიციებზე წავიდა, იქაურობა დაათვალიერა და იაპონელთა ძალა გამოიანგარიშა. მაგრამ რა კი დარწმუნდა, რომ ოიამას ჯარის რაოდენობის გაგება ძნელია და ამომავალ მზის ქვეყნის ჯარზე იერიშით მისვლა სახიფათოა, იერიშის მიტანას თავი დაანება და ახლაც მხოლოდ მასლა ცდილობს, რომ როგორმე მოიგეროს მარშალ იოამას მომავალი მედგარი იერიში (რ. ს.).

სახალინის აღება. ,,სტანდარტ''-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონელებმა კორსაკოვსკში გადაიტანეს რკინის გზის გასაყვანად საჭირო მასალა და გადაიყვანეს 3000 მუშა. საერთოდ იაპონელებმა სახალინზე 14000 მეომარი გადასხეს (რ. ს.).

იაპონურ გაზეთ ,,ჯი ჯი შიმპო''-ს აზრით, იაპონელებმა სახალინი მარტოოდენ თავის მოყვარეობისა და სიამაყის დასაკმაყოფილებლად არ დაიპყრეს. იაპონიის ზღვას ორი კარები აქვს: ჩრდილოეთით სახალინი, სამხრეთით—ცუსიმა. ერთი კარები იაპონელების ხელში იყო, ეხლა მეორეც იმათ ჩაუვარდათ ხელში. ამიერიდან იაპონიის ზღვა მხოლოდ იაპონელებს ეკუთვნით. ,,ასახი'' სწერს: რუსებმა სახალინის ფასი არ იციან. ასეთი მდიდარი ქვეყანა რუსებმა კატორგად გადააქციეს, იაპონია კი ამ ბუნებრივ ოქროს შესაფერად გამოიყენებს და ფულის დაუშრეტელ წყაროდ გადააქცევსო.

,,ნიჩი ნიჩი'' სწერს: სახალინზე იაპონიის დროშა აფრიალდა. იაპონელებმა რუსეთის საკუთარი ქვეყანა დაიპყრეს და დაამტკიცეს, რომ, თუ გაჭირდა, ამურის ოლქსაც დაიჭერენ და კამჩატკასაც (რ. ვ.).

ს. ვიტტე და ზავი. ამერიკიდან ვიტტე დეპეშებს პირდაპირ უმაღლეს მთავრობას გამოუგზავნის და დამოკიდებულება არ ექნება გარეშე საქმეთა სამინისტროსთან. განსაკუთრებით ვიტტესთვის დეპეშის ცალკე მავთულს გააბამენ (რ.).

ვიტტეს დაწერილებით შედგენილი დარიგება მისცეს პეტერბურგში. დარიგებაში აღნიშნულია ის უკიდურესი პირობები, რომელსაც რუსეთი მიიღებს. ამ პირობებს ვიტტე ვერ გასცდება, მაგრამ თუ იაპონიამ ამაზე მეტი მოითხოვა, ვიტტემ ზედმეტი პირობები პეტერბურგში უნდა აცნობოს. რუსეთის უმაღლესი მთავრობა ეჭვობს, ვაი თუ იაპონიამ გადამეტებული პირობები წამოაყენოსო (რ. ს.).

ტყვეების და ჯარის გადმოყვანა. გამოანგარიშებულია, რომ ომის გათავების შემდეგ ტყვეებისა, ჯარისა და საქონლის მანჯურიიდან გადმოტანა გადმოყვანა დაჯდება 32 მილიონი მანათი (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ფოთი, 11 ივლისი. დღეს ადგილობრივ ციხიდან გაიქცნენ გოგიჩაიშვილი და მანუხავა, რომელთაც ჩამოღრჩობა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

ახალი ამბავი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კავკასიის ნამესტნიკს დეპეშით 130 **ათასი მანათი გადმოსცა** საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

✦ გენერალ ივ. გ. ამილახვარის მეთაურობით **შემდგარ კომისიას,** ამ თვის 10-ს გომში მოუხდენია ყრილობა და მოლაპარაკება გაუმართავს. ყრილობაზე ბევრი სოფლის წარმომადგენელნი არ გამოცხადებულან. გომში ეგზეკუცია ჩამდგარა. რამდენიმე პირი დაუტუსაღებიათ. გომიდან გენერალი ამილახვარი გადასულა ცხინვალს და გუშინ, 11 ივლისს, იქ მოუხდენია ყრილობა. ქ. გორში ყრილობა დღეს, 12 ივლისისთვის, აქვს დანიშნული.

✦ 8 ივლისს ტფილისის მაზრის სოფელ ბორბალოში მოვიდა **გლეხებთან მოსალაპარაკებლად** თავადის ი. ს. ჭავჭავაძის მეთაურობით შემდგარი კომისია. სოფელში ადგილობრივმა პოლიციამ ყრილობა მოახდინა ოდინის, ყუმისის და ვაშლოვანის მცხოვრებთა. კომისიამ აცნობა გლეხობას მთავრობის განკარგულება იმის შესახებ, რომ გლეხობას ზარალს გადაახდევინებენ და სხვა. მოლაპარაკების დროს გლეხებმა მემამულეებს თითო დესეტინა მიწაში იჯარად 5 მ. შეაძლიეს, მაგრამ მემამულენი არ დასთანხმდნენ. ამ სოფლიდან კომისია სოფელ ტაბახმელაში წავიდა. იქაც მოხდა ყრილობა და იმავე საგნებზე იყო ლაპარაკი. ამავე დღეს საღამოთი კომისია ტფილისს დაბრუნდა. (ც. ფ.).

✦ დუშეთის სამაზრო ადმინისტრაციას წინადადება მიუცია ერედელ და ბოლელ სოფლის საზოგადოების გლეხებისთვის **მამასახლისის არჩევის შესახებ, მაგრამ მათ უარი განუცხადებიათ.**

✦ სოფ. ახალგორიდან (დუშეთის მაზრა) გვატყობინებენ: 6 ივლისს, სოფლებ ბოლის, ახალდაბის, ერიდის და მის ახლო-მახლო სოფლების გლეხები თავს დასხმიან საერობო დარაჯთ და **გაუნთავისუფლებიათ დუშეთის საპყრობილეში დასამწყვდევად გამზადებული ის გლეხები,** რომელთაც ბრალს სდებენ ბოლელი და ერედელი მემამულენი,—28 ივნისს მოგვისიეს გლეხები და გუთნები გამოგვაშვებინესო.

✦ „ნოვოსტი“-ს მე-169 ნომერში (5 ივლ.) დაბეჭდილია **მოხსენება-პროექტი** ქუთაისის ქალაქის საბჭოსი **საქართველოს ავტონომიის შესახებ,** რომელიც მინისტრთა საბჭოს წარედგინა.

✦ „რუს. სლ.“-ს სოხუმიდან დეპეშით ატყობინებენ: ქალაქის საბჭომ აირჩია ცალკე კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს **პროექტი-მოხსენება კავკასიის ავტონომიის შესახებ.**

✦ როგორც სადგურ ბორჯომიდან გვატყობინებენ, 9 ივლისს, ღამის 1 საათზე, როდესაც სადგურის უფროსი თავ. ავალიშვილი ათვალიერებდა სადგურის დარაჯებს, ვიღაც უცნობმა პირმა რევოლვერი **დაახალა და გვერდში დასჭრა.**

✦ ქართლიდან გვატყობინებენ: 4 ივლისს გორიდან მიმავალ ტირძნისის მემამულეს, სტუდენტს **ნ. სულხანიშვილს უცნობმა თოფი ესროლა.** სულხანიშვილი ოდნავ გაიკაწრა.

✦ ბათუმიდან გვწერენ: მე-69 ვერსზე, გზის ოსტატის კაზარმაში მომუშავე სამ მუშას **თავს დაეცნენ ვიღაცა უცნობები,** ორი მუშათაგანი დასჭრეს და სამუშაოდან გარეკეს. დამნაშავენი დაიმალნენ.

✦ 4 ივლისს, ღამის 2 საათზე, სადგურ სუმბათოვისთან, ასე 200 საჟენის მანძილზე, ტყის ძირას გაშენებულ აგარაკში რამდენიმე შეიარაღებული კაცი **თავს დაეცნენ ინგლისის ქვეშევრდომს ჰენრიხ იარანდს,** ასტეხეს თოფის სროლა, დასჭრეს იარანდის სიმამრი ჰენრიხ ფრანკფურტი და, რაც მოასწრეს, ფულად თუ ნივთებად, თან წაიღეს და მიიმალნენ ღამის წყვდიადში.

✦ „რაზსვეტ“-ის № 112-ში დაბეჭდილია **დასაწყისი ბ-ნ ი. გოგებაშვილის წერილისა:** „Безправіе грузинскаго языка и самихъ грузинъ въ учебной области на Кавказѣ“.

✦ ბერლინში გარდაიცვალა ქალაქის **სადეზინფექციო კამერის გამგე ა. ლ. რაზმაძე.**

✦ თანახმად კავკასიის ნამესტნიკის შუამდგომლობისა, **გზათა სამინისტრომ ნებადართო** ულუხანლუ-ერევანის რკინის გზის გამყვანთ, დროებით დაიწყოს მოძრაობა იმ ლიანდაგზე, რომელიც უკვე დამთავრებულია.

✦ ს. მ. დოლუხანოვისამ კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა **დრამატიულ კურსების დაარსების შესახებ.**

✦ ქალაქმა „ნავთის ქალა“ იჯარით მისცა **ბაქოელ მდიდარს ტერ-მაკაროვს,** რომელმაც უკვე დასდგა ვიშკა და დაიწყო მიწის თხრა.

✦ საგუბერნიო ადმინისტრაციას გადაეცა განსახილველად **საქმე გურჯაანელ** (თელავის მაზრა) **სოფლის საზოგადოების მწერლის** ნიკო ზუმბულიძისა, რომელსაც სედუქნე ილიკო ბეგიტაშვილისთვის ათ შაურად მიუყიდნია მასზე აღძრული საჩივრის საჭირო სახელმწიფო საბუთები. ზუმბულიძე პასუხის გებაშია მიცემული.

✦ სოფ. ახალგორის (დუშეთის მაზრა) **სოფლის ქსენონი დღესაც უექიმოდ არის.**

✦ ტფილისის **საბაღოსნო სკოლაში** მიმდინარე სამასწავლო წელს ბევრი **ცვლილება მოხდა.** შემოღებულ იქმნა სწავლება მევენახეობისა, როგორც სავალდებულო საგნისა, მეფუტკრეობა-მეაბრეშუმეობასაც საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამ სამასწავლო წლიდან სწავლაც დაიწყება პირველ ენკენისთვიდან, როგორც ყველა სხვა სასწავლებლებში.

✦ 10 ივლისს, დანდუროვის სახლთან, მეათე უბანში, **იპოვნეს ახლად დაბადებული ბავშვი,** მამრობითი სქესისა, და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ ბორჩალოს მაზრის სოფ. შინიხში **დიდი სეტყვა მოსულა** და ჭირნახული გაუნადგურებია. ზარალი დიდია.

✦ როგორც ნუხიდან (განჯის გუბერნია) გვატყობინებენ, იქ ამ მოკლე ხანში ქართულ-რუსულ წარმოდგენის გამართვას აპირობენ **ქართ. შორ. წერ. კით. გამ. საზ. სასარგებლოდ.**

✦ ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის გამგე კომისია, რომელიც ამ დღეებში სადგურ სანდართან მდებარე ადგილ „ბამბაკში“ გაემგზავრა **მოსაკირწყლავ ქვის გასასინჯად,** უკვე დაბრუნდა. კომისიამ ქვა მოიწონა.

✦ 9 ივლისს, ვორონცოვის ქუჩაზე საბანაოდ ჩავიდა **მეეზოვე** კანბარ-ნაბი-ოღლი. როცა შეაგულ წყალში შეცურდა, ველარ შესძლო ცურვა **და დაიხრჩო.**

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება

კვირას, 10 ივნისს, შემდგარი კრება გაგრძელება იყო იმ კრებისა, რომელიც ამას წინად თავმჯდომარე თავ. ვ. გ. მაჩაბელმა დახურა და სკოლის რეორგანიზაციის საკითხი და კომიტეტის წევრთა არჩევნები გარდაუწყვეტელი დასტოვა. **ნ. ზ. ცხვედაძემ** განაცხადა: თავმჯდომარესაგან წერილი მოგვივიდა, კრებას ვერ დავესწრებიო და ამიტომ თავმჯდომარეობა გარდაეცემა ბ-ნს ვირსალაძესო. თავმჯდომარის ადგილი ს. ვირსალაძემ დაიჭირა. წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი, რომელშიც, კრების მოთხოვნილებით, შეტანილ იქმნა პროტესტი კრების უდროოდ დახურვისა გამო.

გადასაწყვეტი შეიქმნა შემდეგი საკითხები: 1) წესდების მე-4 მუხლის შეცვლა, 2) სკოლის რეორგანიზაცია და 3) კომიტეტის ორის წევრის არჩევნები.

ნ. ზ. ცხვედაძე წესდების მე-4 მუხლის შესახებ ამბობს: წესდების მე-4 მუხლის ძალით, საზოგადოების წევრებად ითვლებოდნენ ბანკის დამფუძნებელნი, მაგრამ რაც ბანკის დამფუძნებელთ საწევრო ფული უკანვე დაუბრუნდათ და ბანკი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კუთვნილი გახდა, წესდების ეს მუხლიც უნდა შეცვლილიყო. ამიტომ შარშან კრებამ დაადგინა შეიცვალოს ეს მუხლი. კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა და, აი, 25 ივნისს კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა იმ სახით, რა სახითაც ჩვენ წარვუდგინეთ. ეს მუხლი ამგვარად არის შეცვლილი: „ნამდვილ წევრებად ითვლებიან ტფილისის გუბერნიის ყველა თავად-აზნაური, რომელსაც კი ხმა აქვს როგორც კრების ყველა დადგენილებაში, ისე არჩევნებშიაც, სანამ თავად-აზნაურობა ფულს სწირავს ამ საზოგადოებას“. **ვ. რცხილაძე** შენიშნავს, რომ კრებებზე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა სამ ჯგუფად იყოფა. ერთს ჯგუფს შეადგენს თავად-აზნაურობა, რომელსაც მამული არა აქვს. ამ ჯგუფს კრებებზე მხოლოდ მრჩეველი ხასიათის ხმა აქვთ, მეორეს, რომელსაც ერთს დესეტინა ადგილზე მეტი აქვს.—ამათ ხმა აქვთ სხვადასხვა საკითხების გარდაწყვეტაში და მესამე—სრული ცენზის პატრონნი, ე. ი. ვისაც 250 დესეტინაზე მეტი ადგილი, სამასწავლო ცენზი და „ჩინი“ აქვს. ახალის წესდების მუხლის ძალით, ამ საზოგადოების წევრებად უნდა ჩაითვალონ თავად-აზნაურთა ეს მესამე ჯგუფი, ე. ი. ვისაც სრული ცენზი აქვს. ამას გარდა ამ მუხლის ძალით წევრებად არ ითვლებიან არც ის პირები, რომელთაც შეუძლიანთ სამ მანათზე არა ნაკლები ფული შეიტანოს. ორატორი საქმის ამ გვარ ვითარებას არა სასურველად სცნობს და წინადადებას აძლევს კრებას, ამოირჩიოს კომისია, ეს წესდება ხელ-მეორედ გადასინჯოს და დასამტკიცებლად მთავრობას ხელ-მეორედ წარუდგინოს, რადგან აქ რაღაც გუგებრობა, შეცდომა მოხდა და ამგვარად საქმის დატოვება შეუძლებელიაო.

თავმჯდომარე ჰკითხულობს: ამ კრების წევრებად ვინ ჩავთვალოთო? **ვ. რცხილაძე** უპასუხებს: ხმა აქვთ მხოლოდ იმ წევრებს, ვისაც სრული ცენზი აქვთ!

კრება უერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ახალის წესდების ძალით. ხმა არა აქვთ იმათ, ვინც საწევროს სამ მანათს იხდის (კომიტეტის ორი წევრი კი, რომელიც ამ კრებას დაესწრო, ამგვარი წევრები არიან). აქვთ მხოლოდ სრული ცენზის თავად-აზნაურთ, ამგვარი წევრები კი კრებაზე ორი ან სამი კაცი იქმნებოდა. მაშ რას წარმოადგენს დღეს ჩვენი კრებაო?—ჰკითხულობენ ორატორები—ჩვენი კრება უკანონოა! **ა. ზ. ჩოლოყაშვილი** წინადადებას იძლევა, დაიხუროს ეს კრება და მოწვეულ იქმნას ახალი კრება ახალი წესდების ძალით. **გ. რცხილაძეს** უკვირს, რომ კომიტეტის წევრები ყველანი არ მოვიდნენ, საქმე გააფუჭეს, ყელები დაგვჭრეს, საზოგადოება უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდეს და მობძანება არც კი ინებესო. კომიტეტმა თავისი შეცდომა თვითონვე უნდა გამოაკეთოს, ეს მათი ზნეობრივი მოვალეობაა, ან უნდა ეს ახალი წესდება ხელ-ახლად შესცვალონ, როგორც საზოგადოებასა სურს, ან არა და თანამდებობას თავი უნდა დაანებოს. ჩვენ ახალ წევრებს ავირჩევთ და ამ საქმეს იმათ მივანდობთო. ახლა კი სხვა აღარა დაგვრჩენია-რა, რომ ჩვენ აქედან წავიდეთ და საქმე „გენერლებს“ გადავსცეთო.

კრებას წაუკითხეს შარშანდელი კრების ოქმი, სადაც წესდების მე-4 მუხლის შესახებ კრების დადგენილებაა. კამათიდან გამოირკვა, რომ რაღაც გაუგებარი შეცდომა მოხდა, ოქმი სწორედ არაა შედგენილი და სხვა.

ი. ს. ჯაბადარი უხსნის კრებას, რომ თუ კანონი, ანუ ადმინისტრაციის განკარგულება გამოქვეყნებული არ არის, ძალაში არ არის შესული და ისევ ძველის კანონით შეიძლება კაცმა იხელმძღვანელოს. რადგან ეს ახალი წესდება ჯერ გამოქვეყნებული არაა, არის მხოლოდ დამტკიცებული. ჩვენ შეგვიძლიან ეს მხედველობაში არ მივიღოთ და ისევ ძველის წესდებით ვიხელმძღვანელოთ. კომიტეტი ძალიან აჩქარდა, რომ ეს ახალი წესდება ახალავე დაგვირიგა, სანამ დღევანდელი კრებები არ გათავდებოდა, ამ წესდებაზე ხმაც არ უნდა ამოეღო.

თავმჯდომარემ დააყენა შემდეგი საკითხი: ჩაითვალოს თუ არა დღევანდელი კრება კანონიერად ძველი წესდების ძალით? ეს საკითხი კრებამ ერთხმად მიიღო და შეუდგა წესდების მე-4 მუხლის შეცვლაზე სჯა-ბაასს. ზოგი იმ აზრისაა—ამ მუხლის შეცვლა დღესვე გადასწყდეს, ზოგი კი ამბობს, კომისიას გადავსცეთო. **თავ. ალ. დიასამიძის** აზრით, საზოგადოება არაფერს შუაშია, მთელი ბრალი კომიტეტის წევრებს ედება, კომიტეტმა, რა გზითაც იყოს, ეს შეცდომა უნდა გაასწოროს, საზოგადო კრებამ კი ძველის წესდებით უნდა იხელმძღვანელოსო.

ბევრი კამათის შემდეგ თავმჯდომარემ კენჭი უყარა შემდეგს საკითხს: ნამდვილ წევრებად ჩაითვალონ თუ არა ისინი, ვინც სამს მანათზე არა ნაკლებს ფულს შემოიტანს და ტფილისის გუბერნიის ყველა თავად-აზნაური, სანამ თავად-აზნაურობა ფულსა სწირავს სკოლასაო.

ეს საკითხი კრებამ ერთხმად მიიღო სამის გარდა, რომლებმაც კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს.

თავმჯდომარემ კრება 15 წუთით შესწყვიტა და შემდეგ სკოლის რეორგანიზაციის განხილვას შეუდგა. **თავმჯდო-**

ყვანია.—იმათ რა? თუ პატიოსნები ბრძანდებიან, რად მოგდოთ?

თედო. მამალმა სთქვა: „მე კი მიყივლიაო და“... თუ შენ რა მოგივიდეს ახლა, აჰა, ეს ულვაში ძაღლისა იყვეს!

ლადო. შენ ჩემთვის ნუ სწუხარ, მე არავისი მეშინიან. (ამ დროს დერეფნიდან ისმის ბარბარეს ხმა: მანდეთ მიბრძანდი, მანდეთ, თედო მანდ გახლავს).

გამოსვლა V

იგინივე და ტატე.

თედო (ნაძალადევის ღიმილით). ო...ოხ! ტატე, ტატე! გამარჯობა! რისგან არი? (იქით) რისთვის იქნება, თუ არ სარგებლისთვის?! (ტატეს) დაბძანდი, აი, აქეთ მობძანდი.

ტატე (წარბშეკრული, მკვახედ). მე დასაბრძანებლად არა მცალიან! (დოინჯით) ჩემი ფული მამე!

თედო (შეწუხებული ხმით). კარგი... მიქელგაბრიელი ხო არა ხარ, რო დამახრჩო და...

ტატე. მე ეგეები არ ვიცი! (სტოლზე ხელის ბრახუნით) ჩემი ფული, ჩემი ფული—თავნიცა და სარგებელიც, თორე ხვალვე „ისპოლნიტელნი ლისტს“ ავიღებ და ესე (თითს აიშვერს) გაგიშვებ! (ლადო, რომელიც საწერ სტოლთან რვეულებს ათვალიერებს, მობრუნდება და გაოცებით, თან ზიზღით, უცქერის).

თედო (ელდანაკრავი, გაოცებით). რა იყო, რა დაგემართა?! თითქო ხათრს მიწევდი და თავნს მაცლიდი?

ტატე. რაც დაგაცალე, ისიც მივქარე, ისიც თავი ქვას ვახალე! თქვენზე ყველაფერი არამია. (ლადო წამოხტება) თქვენ განა სიკეთის დაფასება იცით?! (ლადო წინ წამოიწევს).

თედო (ტატეს). რათა, კაცო, რა დაგიშავე?! არ იტყვი?! ხათაბალაა!

ტატე. ეგ მაშინ უნდა გეფიქრა, როცა ე შენ შვილს არიგებდი: „ტატე ასწერეთ!“ (სურათი: ლადო და თედო, პირგაღებულნი და თვალებ დაჭყეტილნი, გაოცებით ერთმანეთს გადახედავენ.

თედო)
ლადო.) როგორ?! რაო?!!

ტატე. (აჯავრებს) ,,როგორ, რაო?!'' აქ თავს ნუ იკატუნებთ, მამაშვილობასა და! მე ,,ფოკუზნიკების'' თავი არა მაქვს! თქვენი ოსტატი ჩემი შაგირდი იყო! (გაიელ-გამოივლის) ,,რჩილი'' რო დაურქმევია! ,,გლეხობის საზრჩობელას“ რო მეძახის! (შედგება) აბა, კიდეც თქვენგან არი ამოგდებული სოფელიცა და ქალაქიცა! ეს იცოდეთ, თუ ბუზი ამიფრინდა, სულ ემისგან! (ლადოსკენ თითს იშვერს) შენ გგონია, რაკი სახელს გამომიცვლიდი და ტატეს მაგივრათ ანდუყაფარს დამარქმევდი, ვერ მივხვდებოდი, ჰა?! ჩემ ,,პათრეტს'' მე ვერ ვიცნობდი, რაღა, უკაცრავათ, ვერ მოგართვეს! მე ვერავინ მომატყუილებს, რაც ქვეყანაზე ეშმაკებია, სულ დათვლილი მყავს! (ლადოს უცბათ სიცილი წასკდება) ხო, გაიცინე, გაიცინე, და, აი, მამულებს რო ტორგიდან ,,გაგიპრადალებთ'' და დედიშობილა დაგაგდებთ, ზოგიც მაშინ იხითხითე!

თედო (ძლივ-ძლივ გამოერკვევა, გაცოფებული გადახედავს შვილს და თავის ქნევით). ო... ოხ! შე ჩემი ცოდვით სავსევ, შენა! ამასაც გადასწვდი?!

ლადო (სიცილით). ვინა, რას ამბობს?! არც კი ვიცნობ, პირველადა ვხედავ!

ტატე. ხო და მეც მაგას მოგახსენებ, რო ამან გამიკეთა ,,რეკამენდაცია'', თორე შენ რა იცი, რამდენს ვიღებ სარგებელსა: ათ შაურსა თუ სამ აბაზსა? (თედოს) ახია ჩემზე! რატო სხვასავით ფეხი არ დავაჭირე და მანათზე მანათი არ აგაძრე!

ლადო (დაცინვით) ა... ა... ა! ახლა კი გაგიცანით! მაშ ათ შაურსა და სამ აბაზს იღებთ? ხა, ხა, ხა! თავის ცოდოს თვითონვე აღიარებს!

ტატე (გაცოფებული) ეხ! თვალიც გამოგძვრებათ (კარებისკენ მიდის, თედო გამოუდგება). მე უფრო გიჟი ვარ, რო აქ შემოველ და პირდაპირ „სუდებნი პრისტავი“ არ მოგიგზავნეთ!

თედო (კალთას უქერს). მოიცა, კაცო! ამ სულელ რა ყურს უგდებ! (ლადოს) ო... ოხ! შე სათოკევ, შენა! ემწამ მოდი და ბოდიში მოიხადე, თორე ან მე და ან შენა!

ლადო (დაცინვით) როგორ არა, მუხლის ჩოქვით ვემთხვევი ვიღაც წურბელას!

ტატე (დორბლმოსული, მუქარით). ,,წურბელას'' გაჩვენებ მე შენა! თუ ჩემ მოჯამაგირეებს კარგა არ მიგაგვებინე, მაშ კაცი არ ვიქნები! (ხელსა ჰკრავს თედოს) ერთი, მომწყდი თავიდანა და! რას მეკონწიალები?! (მიმავალი, დერეფნიდან) დღესვე ჩემი ფული დამიმზადე, თორე ციხეში ამოგალპობ, ციხეში! მიყურეთ, რა უნარი გიყო! მე ტატეს მეძახიან!

თედო (მისძახის). ტატე, კაცო, ტატე! თუ ხათრი გაქვს, დაბრუნდი! (გამოტრიალდება და ორთავ ხელებს თავზე წაივლებს) ვაიმე, ვაიმე, ახლა კი დავიღუპე!

ლადო. (ამშვიდებს) მოიცა, დამშვიდდი, რა არი...

თედო (გაცოფებული). იქით დამეკარგე! გადი, გადი ჩემ სახლიდან! (საფერფლეს ესვრის. ამ დროს შემორბის კოტე).

გამოსვლა VI

იგინივე და კოტე

კოტე (ჩქარ-ჩქარა). რა იყო, რა ამბავია, რევოლუცია ხო არ დაიწყო?! (ლადოს) სატირიკოსს ვახლავარ! მშვენიერება არ არის შენი ახალი მოთხრობა!—ყველა მუქთა-ხორას მათრახივით მოხვდა!

თედო. ი მათრახები, მე ვიცი, თვითონ მაგას მოჰხვდება! (ლადო და კოტე იცინიან) მაგას რაღა წაქეზება უნდა, ისედაც ლამის მთელი ქვეყანა ნარდათ აიღოს!

კოტე. რაზე ხართ გაბრაზებული, თადეოზ ალექსეიჩ? თქვენც ხომ არ აგწერათ ლადომ?

თედო. ნუ გეშინიან, მეც ბევრჯერა ვყევარ მასხარათ აგდებული! (კოტე და ლადო იცინიან) განა მაგას ვინმე გადარჩა აუწერავი?! იმთავით ამთავამდინ მოუსვენარი იყო და არი! საცა კი მივაბარე სასწავლებლად, ყველგან „უჩიტლები“ და „დირექტორები“ „უპრავგონოთ“ სწერა და ხატა, ხატა და სწერა! მე კი ფულებს ვხარჯავდი! რა ვიცი, ვთქვი: ადვაკატი გამოვა და კაცი გახდება-მეთქი. ის კი არა, თუ ლანძღვის მწერალი გამობრძანდა! (კოტე და ლადო იცინიან).

კოტე. თადეოზ ალექსეიჩ! ადვოკატები წელიწადში ათასობით იბადებიან, ნიჭიერი მწერლები კი—იშვიათად.

თედო. მწერალიც არის, მწერალიცა! საქმე ის არი, ყველას ქება-დიდება შეასხას, ყველას გული მოიგოს, თორე მორიელივით კბენას მე კი ვერ მოვახერხებ?

კოტე (ლადოს). ნეკრასოვის ლექსი—„ნეტა უწყინარ პოეტს“—მაგონებდა!.. თუ გახსოვს, იქვე შენისთანეებზე ესეა ნათქვამი:

„Его преслѣдуютъ хулы,
Онъ ловитъ звуки одобренья
Не въ сладкомъ шопотѣ хвалы,
А въ дикихъ крикахъ озлобленья“ *).

(თედოს) ე...ეხ! თადეოზ ალექსეიჩ! ,,შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო''. თქვენ რომ იცოდეთ, ვინ არის ეს (ლადოსკენ ხელს იშვერს), რა ნიჭის პატრონია...

თედო (დაარღვევს) ეხ! მე გიჟების თავი არა მაქვს! (იქით) ერთი ხეირიანი შვილი ეს კი არ არი, აბა!

კოტე (ხუმრობს, თან ლადოს თვალს უშვრება) მარტო ის რათა ღირს, რომ თქვენი გვარი გაზეთში იბეჭდება! (ჩუმათ—ლადოს) ნახე, როგორ მოვალბო!

თედო. გაზეთებში ქურდებსა და კაცის მკვლელებს კი არ აცხადებენ? (ლადო და კოტე იცინიან..)

კოტე (განაგრძობს). ახლა რომ მოკვდება, ყველგან ამის სურათებს გამოჰკიდებენ და, საცა ლადოს მოიხსენებენ, თქვენც არ დაგივიწყებენ, რომ შესანიშნავი კაცის მამა იყავით! (ლადოს ჩუმად) მგონი მოიკაკვა!

თედო (დაცინვით). ღმერთმანი? ე მე კი დამეხსნან და, თავში ქვა უხლიათ, რაც უნდათ, მიჰქარონ!

კოტე (განაგრძობს). ახლა რა „რეჩებსა“ და ტელეგრამებს წაუკითხავენ...

თედო. ამისეფ უსაქმურები! აფსუს ი დეპეშის ფულები!

კოტე (განაგრძობს). რა ძეგლს დაუდგამენ, რა გვირგვინებს გამოუგზავნიან! (ჩუმად ლადოს) არც ეხლა სჯერის?!

თედო. „ცოცხალს არ მქონდა კაბაო, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩაო!“! ი „ვენოკების ფასი აზირ ეხლავე მისცენ; მაგ საცოდავს სამი შაური არ უქვავის ჯიბეში!

კოტე (დაცინვით). სამაგიეროთ, მუქთ საფლავში რომ ჩააწვენენ, ეგ არაფერია?!

თედო. ერთ ადლ მიწას პირუტყვები კი არა შოულობენ! ნეტა შენც რითი გინდა ამიხვიო თვალები?!

კოტე (ლადოს). მართალი რომ სთქვას კაცმა, აქაც მარქსის აზრი მართლდება—ეკონომიური დამოკიდებულება... აბა ერთი უცხოეთის მწერლებივით ისუქბდე ჯიბესა!.. (შემოდის ლუკა).

ლუკა (ლადოს). ვიღაც კნიაზია—„ლადო ზარაძე მინდაო“.

თედო. შენი რისხვა არა მაქვს, იმასაც ასწერდა (ლადო და კოტე იცინიან).

ლადო. (ლუკას) სთხოვე, მოვიდეს (ლუკა გადის).

კოტე. „მკლავაძე“ იქნება ვინმე! (შემოდის თავადი დელაური, თავით-ფეხამდინ შეიარაღებული).

გამოსვლა VII.

იგინივე და თავ. დელაური.

თავ. დელაური (მათრახით ხელში—მედიდურად). აქ ლადო ზარაძე რომელია, „რჩილი“ რო დასწერა?!

ყველანი (ერთხმათ). ოჰო!!!

თავ. დელაური (თვალების ბრიალით). რა „ოჰო?!“ სწორე მითხარით, თორე (მათრახის ქნევით) გაგაოჰოებთ მე თქვენა!

თედო (იქით). ბიჭოს!!! აკი გითხარით—თავს შეჰკრამს-მეთქი!

კოტე (წამოხტება). ვის...

ლადო (შეაყენებს). მოიცა! (თავ. დელაურს) მე გახლავარ, თქვენ ვიღა ბრძანდებით?

თავ. დელაური (ამაყათ). თავადი დელაური, ვისაც შენისთანეები ერთ დროს მოჯამაგირეთ ედგნენ!

ლადო (კოტეს). დამაცადე და! (თავ. დელაურს) საბედნიეროდ, ის დრო წავიდა!

თავ. დელაური (ამაყად). ვერ მოგართვეს! თავადს მაინც თავადობა ეტყობა!

ლადო.) (დაცინვით.) დიაღ, მეც მაგ აზრისა ვარ.
კოტე.) ჭეშმარიტებაა!

თედო (პირფერობით). ჰაი, ჰაი, რო თქვენი სისხლი სულ სხვაა, კნიაზო! (იქით) აქ ხიფათი კი არა შეგვამთხვიოს-რა!

თავ. დელაური (იქით). ეს კი ვერ გავიგე—რაღაც ღრმათა სთქვეს! (ორთავ ხელებს ხანჯალზე დაიწყობს და თვალების ბრიალით—ლადოს) შენ „რჩილი“ ვის დაარქვი? კნიაზებთან რა გვსაქმება?! ჩვენს „მილიციასთან“ რა ხელი გაქვს?! შენ მასხარად ვის იგდებ, ვისა?!

კოტე (იქით). სარკე სჯავრებია! (დაცინვით უცქერის).

თედო (იქით). ასე ეგონა—ყველა ერთნაირად მოინელებდა!

ლადო (თავ. დელაურს). თქვენ რუსული ანდაზა არ იცით—„Неча пенять на зеркало, коли рожа крива“!

თავ. დელაური (ხანჯალს იძრობს). „რიჟას“ გაჩვენებ მე შენა!!! (მიიწევს, მაგრამ აქედან კოტე მივარდება, იქიდან—თედო და მკლავებს დაუჭერენ).

კოტე. რას სჩადი, შე მხეცო, შენა?! ვის სახლში ბედავ?!! ტყე და მინდორი ხომ არა გგონია?!

თედო. აბა, რა საკადრისია, კნიაზო?! (ლადოს) შენ მაინც ეს დღე არ აგცდება!

თავ. დელაური (ხანჯალს ჩააგებს ქარქაშში და—მუქარით). აბა, გამობძანდი გარეთა! თუ ზედ „ბურვალზე“ არ მიგაბეჭინე ჩემ ჩაჩნებსა, მაშ ქუდი არ მეხურება თავზე! თუ „ნამესტნიკთან“ არ დაგაბეზღეთ შენცა და ი რედაქტორიცა, მაშ ტიტიკო არ მერქმევა! (გადის) აბა, მიცქირე მე შენა!

ლადო.) (მისძახიან) მჯერა! მჯერა!
კოტე.) დრო გაატარე, მაინც უსაქმოთა ხარ!

თედო (ორთავეს მივარდება). რა გინდათ, თქვე... გინდა დატრიალდეს და მეორედ ასტეხოს აყალ-მაყალი?! (შემორბის ლუკა).

ლუკა (თედოს). ხაზეინ! ხაზეინ! სახლი-პატრონმა შემოგითვალათ: „ემწამ ჩემი სახლი დაცალეთო“!

თედო (გაოცებული). რაო?!

ლუკა. რა ვიცი, ძიენა ბრაზობს—„თქვენ შვილს აუწერივართო“... (სურათი: თედო თვალებ-დაჭყეტილი და პირგაღებული ხელებს გაშლის და შვილს უცქერის. ლადო და კოტე ერთმანეთს გადახედავენ და სიცილითა კვდებიან).

ლადო (სიცილის ცრემლებს იწმენდავს). საგიჟეთია?

კოტე (მხარზე ხელს დაადებს).

„ბატიტინე აჰი-ბაჰია!
მართალს, ჭკვიანურს ნურას იმღერი,
თორემ გამოხრავს შენს ჩანგს, ვით ჰია,
ჭკუის მტარვალი ტვინ-მესტერი!“

ლადო (მწარედ). მოდი და ამ მხეცებში სიმართლე სთქვი!

ფარდა.

ნ. აზიანი.

---

*) გაბრაზებულნი, გაცეცხლებულნი,
მუდამ ჰკიცხავენ უყვირიან მას,
მაგრამ კიცხვაში, ასეთ გმობაში,
ხშირად ჰპოულობს მოწონების ხმას.

ეროვნული

მარემ სხვათა შორის იკითხა, სკოლის რეორგანიზაციის შესახებ საკითხს კრება გამორკვეულად სთვლის, თუ ამ საგანზე დღესაც მსჯელობა ვიქონიოთო. **ნ. ღლონტი** უთითებს წინა კრების ოქმზე, სადაც ეს საკითხი კენჭის ყრით გადაწყვეტილია.

წაკითხულ იქმნა ოქმი, საიდანაც სჩანს, რომ თავმჯდომარემ ამ საკითხს კენჭი უყარა ფეხზე წამოდგომით და კრების მომეტებული ნაწილი ფეხზე წამოდგა, მაგრამ თავმჯდომარე არ დაკმაყოფილდა ამგვარ კენჭის ყრით და ყუთის დადგმა მოინდომა, შემდეგ კი განაცხადა: ამ საკითხს კენჭს ვერ ვუყრი, რადგან ამით წესდება ირღვევა, და კრება დახურა. **თავმჯდომარემ** დააყენა კითხვა, ეყაროს კენჭი ამ საკითხს, თუ კრება მას გარდაწყვეტილადა სთვლის. კრებამ გადასწყვიტა—კენჭი უყაროს.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას, აირჩეს კომისია, და პედაგოგიურ საბჭოს პროექტი განსახილველად ამ კომისიას გარდაეცესო. **შ. ჩიტაძე**—გარდაეცით კომისიას, მხოლოდ, სანამ ეს კომისია საქმეს გაათავებდეს, კომიტეტს უფლება ჩამოართვით, რომ არც ერთი მასწავლებელი არ დაითხოვოს. **ნ. ცხვედაძე**—უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება, რადგან ჩვენცა გვყავს უფროსები, რომელთაც შეუძლიანთ მოგვთხოვონ, ესა და ეს მასწავლებელი დაითხოვეთო. **ნ. დიასამიძე**—საიდან მოგივიდათ ეგ აზრი? **ნ. ცხვედაძე**—ქაღალდი გვაქვს. **ნ. დიასამიძე**—რა ქაღალდია? **ნ. ცხვედაძე**—ვიტყვი რა ქაღალდიცაა. შიო ჩიტაძე ჩვენ წარდგენილი გვყავს, როგორც სკოლის გამგეს დროებით ამსრულებელი...

კრებაზე ხმაურობა ასტყდა, ისმის ხმები: აააა!... აი რაშია საქმე!... ჩვენ ეგ ვიცოდით!.. განა შეიძლება წინდაწინვე ითქვას, რას იფიქრებს მთავრობა?!. **ბ-ნ ხრამელაშვილის** აზრით, კაცი ყველაფერს უნდა მოელოდეს, ამიტომ გამოვუცხადოთ ჩვენი ნდობა ბ-ნს შიო ჩიტაძეს და დავიცვათო იგი ბიუროკრატიულ დაწესებულებათა თვითნებობისაგან (კრება ამ წინადადებას ტაშის კვრით მიეგება).

ვ. რცხილაძე ამბობს, რომ სამართლიანობა მოითხოვდა, კომიტეტსაც სამსახურზე უარი განეცხადებინა, როგორც ეს მასწავლებლებმა ჩაიდინეს, და შემდეგ ან ისევ იმათ ავირჩევდით, ან არა და სხვებსო. კრება თხოულობს ამის შესახებ კომიტეტის აზრს. **ნ. ცხვედაძე**,—თუ კი საქმისათვის სასარგებლო იქმნება, პირადად მე ვაცხადებ, რომ თანამდებობას თავს დავანებებ, მხოლოდ უფლებას შევინარჩუნებ, სკოლის შენობის საქმეს ისევ მე განვაგებდეო (ამ სიტყვებსაც კრება ტაშის კვრით მიეგება). **შიო ჩიტაძე**—პედაგოგიურ საბჭოს სახელით ვაცხადებ, რომ კომიტეტის ახლანდელ წევრებთან ერთად ჩვენ სამსახური არ შეგვიძლიან!

გამწვავებულ კამათის შემდეგ თავმჯდომარემ შეიმუშავა საკითხის ორი ფორმულა: 1) საზოგადო კრება საჭიროდ სცნობს, მიანიჭოს პედაგოგიურ საბჭოს სკოლის საოჯახო და პედაგოგიურ საქმეებში სრული დამოუკიდებლობა. სტოვებს კომიტეტს, როგორც საზოგადოების მიერ უფლებებით აღჭურვილს ორგანოს, ავალებს კომისიას გაარჩიოს ამ ორს ორგანოს შუა დამოკიდებულების შესახებ პროექტი და შემუშავებული პროექტი წარუდგინოს საგანგებო კრებას: ამასთან ამ პროექტის განხორციელებამდე კომიტეტს არ შეუძლიან დაითხოვოს სამსახურიდან რომელიმე მასწავლებელი პედაგოგიურ საბჭოს დაუკითხავად. 2) საზოგადო კრება აძლევს უფლებას პედაგოგიურ საბჭოს, მოიწვიოს და აირჩიოს, როგორც მასწავლებელნი, ისე სკოლის გამგეც.

ამ საკითხებს კენჭი უყარეს, პირველი საკითხი კრებამ 19 ხმის უმეტესობით 7 წინააღმდეგ უარ ჰყო, ხოლო მეორე 22 ხმის უმეტესობით 4 წინააღმდეგ მიიღო.

გუშინ, 11 ივლისს, წინაკრების ოქმის წაკითხვისა და შესწორების შემდეგ, კრებამ მოისმინა მოხსენება იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა, მასწავლებელ კორხანიძის საქმე. ამ მოხსენებას ჩვენს გაზეთში ხვალ დავბეჭდავთ.

შემდეგ თავმჯდომარემ კრებას წაუკითხა კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, ნ. ზ. ცხვედაძისა, ბ-ნთ მაღალაშვილისა და უთნელიშვილის განცხადებანი, რომლითაც ისინი სკოლის კომიტეტის წევრის თანამდებობაზე უარს აცხადებენ.

კრება დღეს, საღამოს 8 საათისათვის გადაიდო, არჩეულ იქმნებიან კომიტეტსა და კომისიების წევრები.

ვიტტეს გაგზავნის გამო ამერიკაში

„ეკო დე პარიზ"-ს საინტერესო ცნობები მოჰყავს მურავიოვის უარის თქმისა და ვიტტეს დანიშვნის შესახებ. ვიტტეს მხარე ლამზდორფსა და ალექსანდრე ობოლენსკის ეჭირა. რადგანაც უმაღლეს წრეებში ვიტტეს თანაგრძნობით არ უყურებდნენ, გრაფი ლამზდორფი იძულებული გახდა ნელიდოვი დაესახელებინა, მაგრამ პარიზში გაგზავნილი დეპეშა ისეთის ხასიათისა იყო, რომ პასუხად მხოლოდ უარის თქმა-ღა შეიძლებოდა. მას წინადადება მისცეს, პასუხის-მგებლობა მიეღო ზავის საქმეში, მაგრამ იმის ნება კი არ მისცეს, რომ ზავის პირობების შემუშავებაზე რაიმე გავლენა ჰქონოდა. ნელიდოვმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და უარი გამოუცხადა. ამის შემდეგ მურავიოვის კანდიდატურა წამოაყენეს. ამასაც ისეთივე წინადადება მისცეს, რანაირიც ნელიდოვს. მურავიოვს ძალიან ეჩქარებოდა წასვლა და საჩქაროდ გარეშე საქმეთა სამინისტროში შენახულ „საქმეებს" შორეულ აღმოსავლეთის შესახებ ვერც კი გაეცნო. დაბრკოლება დაბრკოლებაზე აღმართა. მურავიოვი სთხოვდა 100 ათას მანათს, იმას კი მხოლოდ 15 ათას მანათს აძლევდნენ, იმას მდივნად თავის შვილის წაყვანა უნდოდა, მთავრობა კი მდივნად სხვას აძლევდა. ბოლოს ისეთი გამოურკვეველი ინსტრუქციები მისცეს, რომ საქმის რიგიანად წაყვანა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. ინსტრუქცია ნებას არ აძლევდა მურავიოვს, ზავის თაობაზე მოლაპარაკების დროს განეხილა საკითხი კონტრიბუციის შესახებ; იმას ეუბნებოდნენ, რომ კონტრიბუციაზე ლაპარაკი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აღიძრას, როდესაც მტერი დამარცხებულ მოწინააღმდეგის ტერიტორიას დაიჭერსო; იაპონელებს კი რუსეთის ტერიტორია არ დაუჭერიათ (მაშინ ჯერ სახალინი ისევ რუსების ხელში იყო). მაგრამ აქვე ამბობდნენ, რომ, რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში რუსეთს ბევრი ადგილი აქვს, შეუძლიან იაპონელები ტერიტორიის დათმობით დააკმაყოფილოსო. ინსტრუქციის ამ მუხლის დაწვრილებით განხილვისთვის მურავიოვს ურჩევდნენ, პოკატილოვისთვის მიემართა. ეს, რასაკვირველია, ინსტრუქცია კი არ იყო, არამედ კანცელარიის გამგის მემორანდუმები. მურავიოვი მიხვდა, რომ მას უარი უნდა ეთქვა —და კიდეცა სთქვა უარი. მაშინ ნელ-ნელა ს. ვიტტეს კანდიდატურა წამოაყენეს (ს. ო.).

4% სახელმწიფო რენტის პატრონთა ჩივილი

ამ უკანასკნელ ხანებში გაზეთების ფურცლებზე თანდათან უფრო ხშირია 4% სახელმწიფო რენტის პატრონთა ჩივილი,—ძველი ფურცლები ახლებზე გამოსაცვლელად წარვადგინეთ საზინაშიო, მაგრამ სახელმწიფო ბანკი ახალ ფურცლების გამოგზავნას გვიგვიანებსო...

ეს გაჩერება, შეიძლება, შემთხვევით ხდება, შეიძლება მას თავისი მიზანიც ჰქონდეს.

გაზეთებში მოხსენებულ შემთხვევებში დაგვიანების მიზეზი თუ უბრალო შემთხვევა იყო, რომელისამე მოხელის მიზეზით, ან იმიტომ, რომ სტამბამ ახალ ფურცლების დაბეჭდვა ვერ მოასწრო,—სახელმწიფო ბანკი ვალდებული იყო დაერღვია თავისი ჩვეულებრივი სიჩუმე და ხალხისთვის საქმის ნამდვილი გარემოება აეხსნა.

მაგრამ შეიძლება განზრახ აჩერებდნენ ახალ ფურცლების გაგზავნას, ეგება უნდათ რენტაზე ფასის დაკლება შეაჩერონ ამითი.

რენტის პატრონებმა თავიანთი ფურცლები პეტერბურგში გაგზავნეს,—სამკვიდროდ, მათ ხელში ამის მოწმობები აქვთ. რენტა პეტერბურგშია და, ვინ იცის, როდის მოუვათ,—ამიტომ მათ ამ რენტის გაყიდვა არ შეუძლიანთ.

სახელმწიფო ბანკი,—ამითი ამცირებს გასაყიდად ბაზარზე გამოტანილ ქაღალდების რაოდენობას და მის ფასსაც ხელოვნურად ზევით სწევს, რადგანაც ცხადია, ყველა ეს ქაღალდი რომ გაეყიდათ პატრონებს,—რენტის ფასი შესამჩნევად დაეცემოდა.

ლ. ნ.

რუსეთი

„ტაიმს"-ს აცნობებენ: ვიტტეს რჩევით, **საერო წარმომადგენელთა მოწვევა გადაიდო** რამდენისამე თვით. კანონ-პროექტი გადაეცემა სახელმწიფო საბჭოს, რომელიც იმის განხილვას ორ თვეს მაინც მოუნდება (რ. ვ.).

◆ პეტერბურგიდან „მატენ"-ს დეპეშით აცნობებენ: ხმა დადის, რომ პეტერბურგში ჩამოსული **სვიატოპოლკ-მირსკის სახელმწიფო რჩევის თავმჯდომარედ დანიშნავენო** (რ. ვ.).

◆ სხვადასხვა კავშირთა წარმომადგენლებმა განიხილეს **ბულიგინის პროექტი** საერო წარმომადგენლობისა და დაადგინეს: პროექტის ძალით, ყველა წოდებანი და კლასსები—გარდა გლეხებისა—თავიანთ წარმომადგენლებს პირდაპირის კენჭის ყრით კი არ ირჩევენ, არამედ სამკეცით; გარდა ამისა, კენჭი მხოლოდ დიდ ქონების პატრონს ეძლევა. ამრიგად, პროექტის ძალით, გარედ რჩება აუარებელი სასოფლო და საქალაქო მუშა და მთელი ინტელიგენცია. გლეხებში შემოღებული იქნება ოთხკეცი არჩევანი; ამასთან გლეხებს იმდენად ცოტა დეპუტატები ეყოლებათ, რომ მათს აზრსა და სურვილს არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არ ექნება საერო წარმომადგენლობაში. ესეც რომ არ იყოს, გლეხებშიაც დიდი ქონებრივი ცენზია დაწესებული და არჩევნების დროსაც გლეხები ისევ მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან, რასაც ის მოჰყვება, რომ არჩეულ იქნებიან მხოლოდ ისინი, ვინც მთავრობას უნდა. თვით სახელმწიფო რჩევასაც მხოლოდ რჩევის უფლება აქვს; მაგრამ კანონპროექტების განხილვაც სხვადასხვა ტექნიკურ ხრიკებით ისეთი შეზღუდულია, შეკრული და ისეთ ვიწრო ფარგალში მოქცეული, რომ საერო წარმომადგენლობას არ შეუძლიან ხალხისთვის საჭირო კანონები გამოაცემინოს მთავრობას. რჩევის ყველა დადგენილება და კანონი შეუძლიან შეაჩეროს და არ მიიღოს სახელმწიფო საბჭომ, ე. ი. სამოხელეო დაწესებულებამ, რომელსაც სახელმწიფო რჩევაზე მეტი უფლებანი ეძლევა. ყველაზე საკვირველი და გაუგებარი ის არის, რომ ბიუროკრატია ხალხს არჩევნებისთვის მომზადების ნებას არ აძლევს: წინანდებურად უშლის შეკრებას, ლაპარაკს, გაზეთებში ამის შესახებ წერას, აგიტაციას, განზრახ ხელს უშლის ხალხში ცენზურისმიერ ნებადართულ ჟურნალ-გაზეთებსაც კი და საზოგადოდ ყოველნაირად ცდილობს, რომ ხალხში არ გავრცელდეს არავითარი ცნობა და ცოდნა საერო წარმომადგენლობისა და თვითმმართველობის მნიშვნელობის შესახებ. საგულისხმო ის არის, რომ, რაც უფრო ახლოვდება წარმომადგენელთა მოწვევის დღე, ბიუროკრატია უფრო და უფრო ხელს უჭერს საზოგადოებას და თავისუფლებას თან-და-თან ზღუდავს და ახშობს. ზემოდ გამოთქმულიდან ცხადათა სჩანს, რომ მომავალი სახელმწიფო რჩევა საერო წარმომადგენლობა კი არ იქნება, არამედ სახელმწიფო საბჭოს დასახმარებლად შექმნილი კომისია, რომელიც მთავრობის მიერვე იქმნება არჩეული. მომავალში უზრუნველყოფილი არ არის ხალხის სულ უბრალო უფლებანიც და დაცული არ არის მოქალაქისა და ადამიანის პიროვნება. მოხელეთა მიერ შედგენილმა ყალბმა პროექტმა საბოლოოდ უნდა დაარწმუნოს რუსეთი, რომ ბიუროკრატია თავის ძალმომრეობაზე თავისისავე ნებით ხელს არ აიღებს. ხალხისა და ქვეყნის შველა შეუძლიან მხოლოდ თავისუფალ ხალხის თავისუფალ წარმომადგენლობას (რ. ვ.).

◆ უკანასკნელ ორის თვის განმავლობაში პოლიციამ მთელს რუსეთში **14 საიდუმლო სტამბა** აღმოაჩინა (რ. ვ.).

◆ პოლონეთისა და გერმანიის საზღვარზე გერმანიამ თავი მოუყარა ორ კორპუსს (60 ათას სალდათს), რომელმაც **მთელი პოლონეთი აალელვა** და აალაპარაკა (რ. ვ.).

◆ უკანასკნელ ხანებში რუსეთის **მდიდრებსა და ბობოლა ბიუროკრატებს** რუსეთის სახელმწიფო ბანკიდან გამოაქვთ თავიანთი ფული და საფრანგეთისა და ინგლისის ბანკებში შეაქვთ შესანახად (რ. ვ.).

◆ დეკანოზი იოანე კრონშტადტელი სარატოვის გუბერნიის მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების საპატიო წევრად ირიცხებოდა. ამ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე **კრონშტადტელი გამორიცხეს** საზოგადოების წევრობიდან და იმის მაგიერ ლევ ტოლსტოი აირჩიეს (მ. ვ.).

◆ „კენიგ. გაზ."-ში სწერია: „**ვარშავის გუსართა პოლკის ერთი ესკადრონი** აფიცრებით (160 კაცი) იარაღით ხელში **ავსტრიაში გადავიდა**; იარაღი და ცხენები იქაურ მთავრობას ჩააბარეს და გაიფანტნენ; ორი აფიცერი ამერიკაში წავიდა. მიზეზი გაქცევისა ის იყო, რომ ეს პოლკი ამ დღეებში ომში უნდა გაეგზავნათ. (მოსკ. ვედ.).

კორესპონდენცია

სიღნაღი. „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო, ამისი არ იყოს, ის, რაც ქიზიყის ნამდვილ დღიურ ვარამს შეადგენს, თავს არა მალავს. მე მოგახსენებთ ქიზიყის შეწუხებაზე სახელმწიფო ულდუსის გარდასახადებისაგან. არის სოფელი, რომელიც იხდის წელიწადში 20 და 25 ათას მანათს, არიან ოჯახები, რომლებიც იხდიან 500 და 600 მანათს წელიწადში.

ხალხი, დიდი ხანია, დრტვინავს ამ უდიერის გადასახადების სიმძიმის ქვეშ. კვლავ ამ დროს სოფლებს ხარჯები გაწერილი, ნახევრად აკრებილი და ხაზინაში წარდგენილიც ჰქონია. ახლა კი „ერთობაო" გაიძახიან და არსად არა ჰფიქრობენ გადასახადების მოკრებას, ამ ნიადაგზე ძალიან მალე აღმოცენდება ქიზიყში მოძრაობა და შეხლა კანონის მოთხოვნილებასთან.

სიღნაღში ერთი დახასიათებული და დიდის მითქმა-მოთქმის გამომწვევი ამბავი მოხდა. ამ ამბის გმირები არიან, ერთის მხრივ, სიღნაღში კარგად ცნობილი კნიაზი ინტელიგენტი ივანე რევაზის ძე ვაჩნაძე და, მეორეს მხრივ, ტფილისის ცნობილი მესტამბე ექვთიმე ხელაძე.

ორი თუ სამი თვის წინად, ივ. ვაჩნაძემ სიღნაღის მოსამართლესთან იჩივლა: სიღნაღის მესტამბეს ზარიძეს ვექსილით ჩემი ცხრა თუმანი ჰმართებს და გადასახდევინეთო. როცა სუდის უწყება მიუვიდა, რის ცხრა თუმანი, რა ვალი, როდის მასესხა კნიაზმა ფული და ისიც ვექსილითაო!

წავიდა ზარიძე სუდში, გასინჯა საქმე და აღმოჩნდა, რომ ცხრა თუმნის ვექსელი კნიაზისთვის გადაუცია საკუთრებად ბ-ნ ექვთიმე ხელაძეს ცხრა წლის წინად. ისიც იგულისხმეთ და ნუ დაივიწყებთ, რომ აქტი გადაცემისა და საკუთარი ხელის მოწერა ექვ. ხელაძისა შემოწმებულია სიღნაღის ნოტარიუსისაგან. ამ საქმის პირველ განხილვაზე სასამართლოში ზარიძემ შემდეგი განაცხადა; მართალია, ცხრა წლის წინად მემართა ხელაძისი ათი თუმანი, ცხრა თუმანი ვექსილით და ერთი თუმანი უბრალო ბარათით. მაგრამ ხელაძესთან დიდი ხანია, გავათავე საქმე, გავსწორდი და, აი, დასამტკიცებლად ვადგენ ხელაძის საკუთარ ხელწერილსაო. ამ ხელწერილში სწერია: „თავადო იოსებ რევაზის ძევ (ზემოთ ხსენებული თავადი-კი ივანე რევაზის-ძეა), ზარიძემ საქმე გამითავა და ვექსილი დაუბრუნეთ".

ეს „იოსებ რევაზის-ძე ვაჩნაძე" აქაური ნათელი ვექილი გახლავთ. ზარიძეს მოუტანია მასთან ხელაძის წერილი და ვექსილი მოუთხოვნია. ვექილს უძებნია ხელაძისეული ვექსილი თავის საქმეებში და ვეღარ უპოვია. ზარიძესთვის უთქვამს: ვექსილი დამიკარგავს, შენ ეგ ხელაძისეული წერილი შეინახე და, თუ ვექსილი გიპოვნე და დაგიბრუნე, ხომ კარგი, არა და, ვიღა იქმნება შენი მოდავეო.

ამით გათავებულა საქმე. გავიდა ცხრა წელიწადი და, აი, ამ დაკარგულმა და გაბათილებულმა ვექსელმა სასამართლოში ამოჰყო თავი. ეს რაღაც გამოცანასა ჰგავს და არა ნამდვილს ამბავს. სწორედ ამ გამოცანის გამოსარკვევად მოსამართლემ ექ. ხელაძე სიღნაღში დაიბარა. სასამართლოში ხელაძემ განაცხადა: „მართალია, ზარიძეს ჩემი ფული ემართა, მაგრამ ამ ცხრა წლის წინად გამისწორდა და იგი ვექსილი ვექილს იოსებ რევაზის-ძე ვაჩნაძეს გადავეცი გასაბათილებლადაო. დღევანდელ მამიებელს ივანე რევაზის-ძე ვაჩნაძეს არ ვიცნობდი, არც ვიცნობ და დღეს პირველადა ვხედავო. ზარიძის-მიერ წარმოდგენილი მართლა ჩემი მიწერილია იოსებ ვაჩნაძესთანაო".

მოსამართლემ ჰკითხა ხელაძეს: მაშ როგორ მოხდა, რომ თქვენ გადაგიციათ ვექსილი იოსებ რევაზის ძის ვაჩნაძისათვისაო. ექ. ხელაძემ ამის თქმა ღა მოახერხა: „ალბად გადაცემის აქტის წერის დროს" შეცდომა მომსვლია, ნაცვლად „იოსებ რევაზის ძისა" დამიწერია: „ივანე რევაზის-ძე" და ნოტარიუსსაც შეუმოწმებიაო".

საქმე გადაიდო, რადგან მოწმე იოსებ რევაზის ძე ვაჩნაძე არ გამოცხადდა.

ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი სამსჯავროდამ: კნიაზი ივანე რევაზის ძე ვაჩნაძე, თუ ექვთიმე ხელაძე. ის კი ცხადია, რომ ერთ-ერთი მათგანი გამომძიებლის კამერას ნახავს.

გოგრა-ქევხა.

—

დ. ცხინვალი. 23 ივლისს დ. ცხინვალმაც მოჰბაძა ქ. გორს და აქაც ყველა დუქნები დაიკეტა. ამ დღეს არა იშოვებოდა-რა, ყველანი გაფიცულნი იყვნენ. მეორე დღეს, როგორც კი გორიდან ამბავი მოვიდა—დუქნები დაიღოვო,—აქაც გაიღეს.

ამას წინად მოულოდნელად კაზაკებმა თავი დაგვანებეს და გორისკენ გაემგზავრნენ. მაგრამ ბევრმა დრომ არ გაიარა... ახალმა ბოქაულმა თუღაშვილმა, მოვიდა თუ არა, მაზრის უფროსს დეპეშით სთხოვა: დაუყოვნებლივ მომაშველეთ ჯარი და კაზაკებიო. გორიდანაც გამოგზავნილ იქმნა ორ-მოც და-ათი სალდათი და ამდონივე კაზაკ-რუსი.

ს. ქსუისში კაზაკ რუსებმა ჩაავლეს, რადგანაც თავისავე სახლში მოჰკლეს აზნაური ი. უთნელიშვილი. ი. უთნელიშვილს რამდენიმე შეიარაღებული კაცი მისჩეროდა. კაცო თუ არა ეს ამბავი უთნელიშვილს, მაშინვე ძირს, სარდაფში, ჩაპარულიყო და პურის ბეღელში ჩამძვრალიყო. კარგა ხნის ძებნის შემდეგ, ეპოვნათ და შიგვე მოეკლათ. ტყვია რამდენსამე ადგილას ჰქონდა მოხვედრილი. კუბო ცხინვალელებმა არ მიჰყიდეს. როგორც გავიგეთ, არც გორში მიეყიდათ კაზაკებს შეეკრათ ფიცრების კუბო და ისე დაემარხათ.

ასეთივე შავი დღე დაადგა ფხვენისელ თავადიშვილს ა. ამილახვარს.

ს. ტირძნისში მოსულა ნიკო სულხანიშვილი და თან კაზაკები ჰყავს. გლეხობას მოხნულ მოთესილს აღარ ამკევინებენ. სულ სულხანიშვილი მკის, კაზაკებს ამუშავებს და აზიდვინებს თავის საკუთრებად. განსაცდელში ჩავარდნილა გლეხობა, კაზაკების შიშით, გარედ ვეღარ გამოდის. ამ ერთი კვირის წინად თვითონ სულხანიშვილს, კაზაკების დახმარებით, მთელი სოფლის ნახირი თავისას მწყემსებით დაეჭირა, შეერეკა თავის ბაკში და ბავშვებიც გვერდზე მოეყენებინა. ორი დღე მშიერ-მწყურვალნი ეყარნენ საქონელიც და ბავშვებიც. ბოლოს რის ვაივაგლახით გაანთავისუფლეს. სულხანიშვილს მოურავად თ-დი აფთლონ მაჩაბელი დაუდგა, რომელიც სულხანიშვილზე ნაკლები არ არის.

ქრედველ თავადიშვილებს ხალხმა მოსთხოვა იმ ხარჯის გადახდა, რაც გლეხობას ეგზეკუციის მეოხებით მოუვიდა, ვინაიდან კაზაკები მათის წყალობით იქმნენ გამოწვეულნი. ჯერ-ჯერობით ამაზე ვერ თანხმდებიან და, ვნახოთ, შედეგი რას მოგვიტანს.

სოფ. ძვილეთში თავს დასცემია რამდენიმე კაცი იქაურ რაზმელებს და თოფები და რევოლვერები წაურთმევიათ. ზოგიერთა რაინდისათვისაც კარგებისა უთავაზებიათ. როგორც გავიგეთ, იქაც კაზაკები გაუგზავნიათ.

ქარ-ცეცხლი.

ღია წერილი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბატონს შ. ა. ჩიტაძეს.

თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების ერთ კრებაზე თქვენ, ბ-ნო შ. ჩიტაძე, **განზრახ** ამიტეხეთ მე „სკანდალი" და ამასთანავე საჯაროდ მომმართეთ უშვერის ლანძღვა-გინებით, თუმცა მე პირადად თქვენთვის არავითარი მიზეზი არ მომიცია. გდებთ რა ბრალს არა საკადრის საქციელის ჩადენაში და ჩემს საჯაროდ შეურაცხყოფაში, გიწვევთ თქვენ სამედიატორო სამართალში. მედიატორებად ჩემის მხრივ ვასახელებ სამს პირს, რომელთა გვარები ცალკე იქნება გამოცხადებული. თანხმობის პასუხს ველი ერთის კვირის განმავლობაში.

დიმ. დუმბაძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

11 ივლისი.

გოძიადანი, 8 ივლისი. რუსთა მარცხენა ფრთედის ცალკე რაზმებმა იულიანძუსკენ ბეჯითად დაზვერეს იაპონელები. იაპონელთა პოზიცია იაპონელ ქვეითებს უჭირავთ და რუსებმა უკვე იციან მათი ბინადრობა. დილის 10 საათზე, იულიანძის ჩრდილოეთად ოთხ ვერსზე, რუსების მემარჯვენე რაზმმა მტერზე მიიწია, ხოლო მარცხენამ კი გვერდით მოუარა. რუსებს იაპონელები მათს მარჯვენა ფრთაზე არ მოელოდნენ, ამიტომ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მეორე, უფრო მაგარი პოზიცია დაიჭირეს. ქაობიანმა ფართო ვაკემ დაჰფარა იაპონელთა ძველი პოზიცია. რადგანაც ჩვენი რაზმი ძლიერ დაღლილიც იყო და, ამასთანავე, გათვალისწინებულიც ჰქონდათ, რომ დიდი დაბრკოლება მოელოდათ, ვინაიდან იაპონელები ადვილად არას დაანებებდნენ, რაზმის უფროსმა ჩრდილოეთად დაიწია. ორი ქვეითი იაპონელი დაატყვევეს.

ტოკიო, 10 ივლისი. გემებიდან კარგა ხანს გაცხარებულად ყუმბარის დაშენის შემდეგ, იაპონელებმა აიღეს სახალინის აღმოსავლეთ ნაპირად მდებარე სოფელი კორსაკოვი. [illegible]თა ჩვეულებრივ რიცხვს, 500 კაცს, ალექსანდროვსკიდან 1000 თავისუფალი მებრძოლი მიაშველეს რუსებმა. გემები ნაპირად იდგნენ, რომ რუსი ჯარის კაცნი ხმელეთზე გადაესხათ. იაპონიის სამხედრო გემებმა რუსი ჯარის კაცნი აიძულეს დამორჩილებულიყვნენ. რამდენიმე კაცი გაიქცა, მაგრამ რაკი თავი მაინც ვერ დააღწიეს და ტყუილ-უბრალოდაც იხეტიალეს, დაბრუნდნენ და იარაღი დაჰყარეს.

პარიზი, 10 ივლისი. როგორც „ტან"-ი იუწყება, რუვიე და ვიტტე უმთავრესად ზავის თაობაზე საუბრობდნენ. რუსეთის მთავრობამ საჭიროდ დაინახა, რადგანაც საფრანგეთთან კავშირი აქვს, საფრანგეთის კაბინეტის მეთაურის აზრიც გაეგო ზავის შესახებ. ამავე საგანთან ერთად ლაპარაკეს ფინანსების შესახებაც. გამოითქვა სურვილი საფრანგეთ-რუსეთის კავშირის დაცვისა და, საჭიროების დროს, ერთმანეთის დახმარებისა.

პეტერბურგი. შორეულ-აღმოსავლეთიდან 10 ივლისს ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

გუნჯულინი, 10 ივლისი. აქ ხმა დადის, მთავარი შტაბი შესამჩნევად ამცირებსო ვაგონების რიცხვს, ეკონომიურ საზოგადოებათაგან ნათხოვარს შორეულ-აღმოსავლეთში სურსათ-სანოვაგის გადასაზიდად. ეკონომიური საზოგადოებანი ჯარს დიდ სამსახურს უწევენ და ძნელი წარმოსადგენია, რომ შტაბმა მართლა შეამციროს ბარგის ვაგონთა რიცხვი. ამიტომაა, რომ ამ ხმებმა აქ უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა მისი სიმართლე საეჭვოა. მთავარმა შტაბმა არამც თუ არ უნდა შეამციროს ბარგის გადასაზიდი ვაგონთა რიცხვი, პირიქით, მისი მოვალეობაა გააფართოოს და გააძლიეროს იგი, თუ უნდა ბრძოლის ველზე მყოფ ლაშქრებს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს.

პეტერბურგი, 9 ივლისი. ამალა, რომელიც მიაცილებს ხელმწიფეს, გერმანიის იმპერატორთან შესახვედრად მიმავალს, შეადგენს: კარის მინისტრის ბარონ ფრედერიქსისა, საზღვაო მინისტრის ბირილიოვისა, გრაფის ბენკენდორფისა, ლეიბ ქირურგის გირშისა, სამხედრო-სამგზავრო კანცელარიის უფროსის გრაფის გეიდენისა, მორიგე ადიუტანტის ჩაგინისა და გერმანიის საზღვაო აგენტის კაპიტანის გინცესაგან.

ლოძი, 10 ივნისი. ვენის გაზ. „ნოიე ფრეიე პრესსე"-ში დაიბეჭდა ცნობა, რომ გასულ კვირას, კამენნა ქუჩაზე ვითომდა მომხდარ მანიფესტაციის დროს, კაზაკებს ხალხისთვის თოფი ესროლოთ, მოუკლავს 3 და დაუჭრავს 6 კაცი. ეს ხმა სიმართლეს არ ეთანხმება. საზოგადოდ საზღვარ-გარეთის პრესსა ამ უკანასკნელ ხანებში მეტად აზვიადებს რუსეთის შინაურ ამბებს და ცრუ ცნობებსაც ჰბეჭდავს ლოძიდან. უნდა აღვნიშნოთ, რომ, რაც ლოძში ომიანობის დროის წესები შემოიღეს, ადმინისტრაციის-მიერ მიღებულ ღონისძიებათა წყალობით, ქალაქში ცხოვრება ნორმალურია და მყუდროება არაფრით არ დარღვეულა.

ბელგრადი, 10 ივლისი. დღეს მთელს სერბიაში არჩევნები იყო. ყველგან წესრიგი სუფევდა, გარ. და კრაგუევაცისა, სადაც სოციალისტებმა ცოტათი მყუდროება დაარღვიეს. დღემდე მხოლოდ ეს შედეგი იციან არჩევნებისა; ქალაქებში აირჩიეს 9 დამოუკიდებელი და 3 ზომიერი რადიკალი, ხოლო ერთი—სოციალისტი. რვამ ხელახლა კენჭი უნდა იყაროს. კრაგუევაცში არჩევნები 17 ივლისს მოხდება. არჩევნების შედეგი ხვალ გვეცოდინება.

ათინა, 11 ივლისი. საბერძნეთის მთავრობამ მიანდო თავის წარმომადგენლებს ევროპის დიდ სახელმწიფოებში,—ხელ-ახლა აძრან ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კუნძულ კრიტოსზე საერთაშორისო რაზმების მაგივრად დაწესდეს ბერძენთა ჯარი, როგორც ერთად-ერთი საშუალება კუნძულ კრიტოსზე მშვიდობიანობის აღდგენისა.

დროებით რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მესამე)
ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებ, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა**. 2. **საზოგადო სავაჭროსა**, 3. **ბანკისას**, 4. **კომერციულ არითმეტიკასა** (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), 5. **ფინანსიურ გამოანგარიშებასა**, 6. **არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით**, 7. **კომერციულ კორესპონდენციასა**, 8. **ვაჭრობის ისტორიასა**, 9. **ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).
სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.
ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.
მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.
ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.
პროგრამა კურსებისა იბეჭდება და მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ მიიღონ.
(15—3) **ალ. გ. საათაშვილი.**

საინტერესო და საყურადღებო ახალი რომანი
„ცხოვრება და სიყვარული"
წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი. შეიცავს 320 გვერდს და გაგზავნით ღირს **მხოლოდ ორ აბაზად.** იქავე ისყიდება „ლექსები და პოემები" და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან „ვარინკას ამბავი". თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზად. გამოწერა შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიმართონ სადგურ მიხაილოვში, ბათუმისკენ რკინის გზის ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Мих. кассиру Чархишвили. (5—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 11 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.